ხობის მოამბე

№9 (7078)
17 მაისი, ხუთშაბათი,
2012 წელი.
ფასი 70 თეთრი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

27 აპრილს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჭოხონელიძე. სხდომას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სურსათის უვნებლობის სამსახურის, ადგილობრივი პრესისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი იყო 10 საკითხი:

დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 27 დეკემბრის №56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე-საკრებულოს თავმჯდომარე; თანამომხსენებელი დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

დადგენილების პროექტი ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 9 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე-საკრებულოს თავმჯდომარე; თანამომხსენებელი: მ. ბოკუჩავა - გამგებლის მოადგილე);

განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 9 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე–საკრებულოს თავმჯდომარე; თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა–გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი); 4. განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე-საკრებულოს თავმჯდომარე; თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა–გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ (მომხსენებელი: ა. ვარდია–გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი);

6. განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ბალანსიდან ჩამოსაწერი ქონების საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ (მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; თანამომხსენებელი: ა. ვარდია–გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი);

განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების ბეჭდების, სატიტულო ფურცლებისა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამართლებრივი აქტის ბლანკის ნიმუშების დამტკიცების თაობაზე“ (მომხსენებელი: ზ. ბუკია–გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო ბარათების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 მარტის N62 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. ბოკუჩავა–გამგებლის მოადგილე);

განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საშტატო ნუსხისა და სახელფასო სარგოს შეთანხმების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 მარტის N20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: ბ. ჯიქია-საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე); 10. განკარგულების პროექტი ხობის მუნიციპალიტეტის ახალი ხიბულის თემში მცხოვრებ ვახტანგ კვირკვაიას და ხეთის თემში მცხოვრებ ირაკლი ჩერქეზიას საცხოვრებელი სახლის ტერიტორიის არაკეთილსაიმედო პუნქტად გამოცხადების შესახებ“ (მომხსენებელი: დ. გერგაია–სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

საკრებულოს თავმჯდომარემ წამოაყენა ინიციატივა, მუნიციპალიტეტის ქალაქსა და სოფლებში სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოეწყოს გარემოს დასუფთავების ერთთვიური და დაავალა შესაბამის უწყებებს, მოამზადონ პროექტები გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ. მ. ჭოხონელიძემ „სოფლის მხარდაჭერის“ საპრეზიდენტო პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების შესრულებაში, უპირატესად, უნდა ჩაერთონ მუნიციპალიტეტში მცხოვრები განსაკუთრებულად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ოჯახის წევრები.

წარმოდგენილი საკითხების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია

ფაშიზმზე მამარჯვების 67-ე მაზაფხული

კიდევ ერთი ცხრა მაისი მოვიდა. ეს დღე ხომ ჩვენი, ომის ვეტერანების დიდი სიხარული და ზეიმია. სასიხარულოა, იმდენად, რომ ომგადახდილი, ხანდაზმული ადამიანები დიდ სამამულო ომს გადავურჩით და დღემდე მოვედით. მტკივნეულია იმდენად, რამდენადაც ის ხსოვნაა იმ ვაჟკაცებისა, რომლებმაც თავისუფლებას შესწირეს თავიანთი ლამაზი სიცოცხლე. მათ ხომ მე, შენ, მას შეგვინარჩუნეს თავისუფლება და ჩვენი სამშობლო გადაარჩინეს განადგურებისაგან.

ომის დამთავრებიდან 67 წელი გავიდა და თანდათან შემცირდა ომგადახდილთა დიდი არმია. ამ რამდენიმე დღის წინათ ჩვენი კიდევ ერთი თანამემამულე და მეგობარი გაჯილ ბერაია წავიდა ჩვენი რიგებიდან. ვინ იცის, რამდენი ასეთი ახალგაზრდა თუ ხანდაზმული კარგი ადამიანი წავიდა ამ ქვეყნიდან ომის დამთავრებიდან დღემდე (ნათელი დაადგეს მათ სახელებს!).

ჩემო თანამემამულენო, ყოფილო მეომრებო, სრულიად საქართველოში მცხოვრებო ომის ვეტერანებო, გილოცავთ გამარჯვების დღესასწაულს–9 მაისს! მინდა სულითა და გულით დაგლოცოთ და დიდი ხნის ლამაზი, უმტკივნეულო წლები გისურვოთ!

მჯერა, თითოეული თქვენთაგანი ღირსეული მამა, ბაბუა და დიდი ბაბუა ბრძანდებით. თქვენი სახელები უკვდავყოფენ თქვენს პიროვნებას, ფაშიზმზე გამარჯვებას.

ვეტერანებო, მოგიკითხავთ დიდი სიყვარულით და კიდევ ერთხელ მრავალი წლის ლამაზ დღეებს გისურვებთ.

თქვენი ალექსანდრე ცხადაია,
ხობის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე.

ტაძარში მალე წირვა-ლოცვა აღევლინება

4 მაისს ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა მოინახულეს ხობისა და ფოთის ეპარქიის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა, მაჟორიტარმა დეპუტატმა ხობის მუნიციპალიტეტიდან გოდერძი ბუკიამ, სამეგრელო ზემოსვანეთის გუბერნატორმა გურამ მისაბიშვილმა, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგა ღურწკაიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ჭოხონელიძემ.

ტაძრის მშენებლობა დასრულებულია. დასრულებულია ასევე საქართველოს საპატრიარქოს რეზიდენციის მშენებლობა. როგორც ბატონმა გოდერძიმ ბრძანა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, მოსაწესრიგებელია ტაძრის მიმდებარე ტერიტორია. მან მადლობა გადაუხადა იმ ადამიანებს, რომლებიც ძალღონეს არ იშურებდნენ ამ ტაძრის მშენებლობისათვის. „ტაძარს აშენებს მთელი ხობი და ხობელები და არა ერთეულები. მინდა ეს ყველამ იცოდეს,“–ბრძანა საუბარში ბატონმა გოიდერძიმ.

ტაძარში სულ მალე წირვა-ლოცვა აღევლინება.

საკუთარი ინფორმაცია.

„მოქალაქეთა მიღების საათი“ გრძელდება

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჭოხონელიძე „მოქალაქეთა მიღების საათის“ ფორმატის ფარგლებში 27 აპრილს ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის, ზემო ქვალონის, ნოჯიხევის, გურიფულის, შუა ხორგის, ქარიატის, პირველი ხორგის, ჭალადიდის, საგვიჩიოს, ახალსოფლის და ყულევის მოსახლეობას ადგილებზე მეორედ შეხვდა. მან „მოქალაქეთა მიღების საათზე“ მოსულ მთხოვნელებს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ წინა შეხვედრაზე მოქალაქეების მხრიდან დასმული ის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც მოკლე ვადაში იყო შესაძლებელი, მოგვარებულია. სხვა საკითხებზე მიმდინარეობს მუშაობა და არც ერთი განცხადება არ დარჩება უყურადღებოდ და სათანადო რეაგირების გარეშე.

–„ჩვენ ყოველთვის მოვალთ თქვენთან, რათა უშუალოდ მოვისმინოთ თითოეული თქვენგანის, თქვენი თემის წინაშე მდგარი პრობლემების შესახებ და ერთად ვეძებოთ გამოსავალი“,–განაცხადა მ. ჭოხონელიძემ.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია.

დასუფთავების ერთთვიური დაიწყო

27 აპრილს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში ჩატარებულ სხდომაზე, რომელსაც საკრებულოს წევრების გარდა, საზოგადოების წარმომადგენლებიც მრავლად ესწრებოდნენ, საკრებულოს თავმჯდომარის კიდევ ერთი ინიციატივა იქნა გაჟღერებული.

ქ. ხობსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა მამუკა ჭოხონელიძემ შესაბამის სამსახურებს მიმართა ინიციატივით. მთელს მუნიციპალიტეტში გამოცხადდეს გარემოს დასუფთავების ერთთვიური, სპეციალურად შედგენილი გრაფიკის მიხედვით ყველა ქუჩის, დაწესებულების, სოფლის ცენტრალური ქუჩები და მიმდებარე ტერიტორიები დასუფთავდეს დაყრილი ნაგვისაგან,

როგორც უკვე დავაზუსტეთ, ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყო. მასალებს ერთთვიურის მიმდინარეობაზე მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

საკუთარი ინფორმაცია.

თათბირი საკრებულოში

10 მაისს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჭოხონელიძე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრებს, აპარატის თანამშრომლებსა და საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ადმინისტრაციას შეხვდა.

სამუშაო თათბირზე საკრებულოს თავმჯდომარემ დარგების ხელმძღვანელთაგან მოისმინა ინფორმაცია მიმდინარე სამუშაოებზე და წინა თათბირზე მიღებული დავალებების შესრულების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ უკმაყოფილება გამოთქვა თავის მიერ ინიცირებული პროექტის–მუნიციპალიტეტის ქალაქსა და თემებში (სოფლებში) სანიტარულ-ჰიგიენური კუთხით შექმნილი მდგომარეობის მოწესრიგების მიზნით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გარემოს დაცვითი ერთთვიურის შეუსრულებლობის გამო. „ქალაქის ქუჩები და დასასვენებელი პარკები სავსეა ნაგავით, ანალოგიური მდგომარეობაა მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში. ქარის მიერ ატაცებული პოლიეთილენის პარკებით გადავსებულია ხეები. უნდა გვესმოდეს, რომ ქალაქის ცენტრალური ქუჩის გავლით ხშირად გადაადგილდება მთავრობა, რომელიც ჩვენს რეგიონში ან ახალი პროექტის პრეზენტაციას აწყობს, ან დაწყებული სამუშაოების მიმდინარეობას ამოწმებს. ჩამოდიან ტურისტები სვანეთში, ანაკლიაში და მათ ჩვენ დანაგვიანებული ქალაქით ვხვდებით. „გარემოს დასუფთავების ერთთვიურზე“ კონტროლს ჯანდაცვის ცენტრს ვავალებ და იმედი მაქვს, საყვედურის თქმის საფუძველი აღარ მექნება,“–განაცხადა მ. ჭოხონელიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა 26 მაისისადმი მიძღვნილ და ზაფხულის პერიოდში განსახორციელებელ ღონისძიებებზე რის გამოც დარგების ხელმძღვანელ პირებს დაავალა, დაგეგმონ და ერთი კვირის ვადაში წარმოადგინონ დაგეგმილი ღონისძიებების პროექტი და პროგრამები.

საკუთარი ინფორმა-

მიხეილ სააკაშვილი—ქვეყანა, რომელმაც ფაშისტ ოკუპანტებთან ბრძოლაში გაიმარჯვა, დღეს თვითონაა ოკუპანტი

დღევანდელი სიტუაციის ცინიზმი გამოიხატება იმაში, რომ საბჭოთა კავშირის ყოფილი ხალხების ტერიტორიაზე ისევ გაჩდნენ ოკუპანტები და ოკუპირებულები,–ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში მიმდინარე მსოფლიოს ტურიზმის ორგანიზაციის კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. პრეზიდენტის განცხადებით, ევროპარლამენტის რეზოლუციის, ასევე ძალიან ბევრი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის გადაწყვეტილებისა და საერთაშორისო ტერმინოლოგიის თანახმად, რუსეთი ახორციელებს საქართველოს ტერიტორიების დიდი ნაწილის ოკუპაციას. „რუსეთის მთავრობამ მიაღწია იმას, რომ ქვეყანა, რომელიც სხვა ქვეყნებთან ერთად გამარჯვებული იყო ფაშისტ ოკუპანტებთან ბრძოლაში, თვითონ არის დღეს საერთაშორისო ტერმინოლოგიით აღწერილი, როგორც ოკუპანტი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. მე ვფიქრობ, ეს არის რუსეთის მთავრობის მიერ საკუთარი ხალხის შეურაცხყოფა“,–განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

„ინტერპრესნიუსი“

დაიჯესტი

დავით ბაქრაძე გერმანელ კოლეგას შეხვდა

გერმანიისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეებმა შეხვედრაზე, საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებზე, შიდა პოლიტიკურ ვითარებასა და მოახლოებულ არჩევნებზე ისაუბრეს.

როგორც „ინტერნეტ.ჯი“-ს პარლამენტის პრესსამსახურიდან აცნობეს, დავით ბაქრაძემ და ნორბერტ ლამერტმა ორ ქვეყანას შორის არსებულ პარტნიორულ ურთიერთობებზე იმსჯელეს.

მათი ინფორმაციით, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ გერმანია საქართველოს დემოკრატიულად განვითარების პროცესს მხარს უჭერს და ქართულ-გერმანული ურთიერთობები სტაბილურად ვითარდება.

ნორბერტ ლამერტმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისგან საქართველოში არჩევნებისთვის სამზადისის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა, ამ პროცესში, საერთაშორისო დამკვირვებლების აქტიურად ჩართვის თაობაზე, საქართველოს ხელისუფლების ინიციატივა დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ მას სჯერა, რომ მოახლოებული არჩევნების სამართლიან და დემოკრატიულ გარემოში ჩატარება.

დავით ბაქრაძემ ნორბერტ ლამერტს კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა გერმანიის სახელმწიფოს პოზიციისათვის, რომელიც რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკას გულისხმობს.

„ინტერპრესნიუსი“

საკონსტიტუციო ცვლილება სრულიად ახალი ფორმულირებით ჩამოყალიბდა

კონსტიტუციის გარდამავალ დებულებებს ახალი - 104/4 მუხლი ემატება, სადაც აღნიშნულია, რომ „2014 წლის 1 იანვრამდე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად, შესაბამისი ასაკიდან, ასევე აქვთ პირებს, რომლებიც დაბადებულნი არიან და ბოლო 10 წელი მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა აქვთ“.

აღნიშნული ნორმები იმ ვარიანტისაგან განსხვავდება, რომელიც საყოველთაო—სახალხო კომისიის შემაჯამებელ სხდომაზე მიიღეს.

კერძოდ, ცვლილებების აქამდე არსებული ვარიანტის მიხედვით, „2015 წლის 1 იანვრამდე ამ კანონით გათვალისწინებული პასიური და აქტიური საარჩევნო უფლებით საქართველოს მოქალაქეებთან ერთად, ასევე სარგებლობენ პირები, რომლებიც დაბადებულნი არიან საქართველოში, 10 წელი უცხოვრიათ და ბოლო სამი წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და აქვთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა“.

ახალი რედაქციით საკონსტიტუციო ცვლილებების კენჭისყრა პარლამენტში მოხდება.

ინტერნეტ.ჯი.

ზურაბ ჭიაბერაშვილი ახალი ინიციატივით გამოვიდა

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ახალი ინიციატივით გამოვიდა. ახალი ცვლილების მიხედვით, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის კუთვნილი დახმარების მიღების მოცდის პერიოდი შემცირდა.

ადრე მოქალაქე, რომელსაც მიზნობრივი სოციალური დახმარების მიღებისთვის საჭირო სარეიტინგო ქულა ენიჭებოდა, ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისს 5-6 თვის შემდეგ იღებდა, ხოლო ფულადი შემწეობა მას 3 თვიანი ლოდინის შემდეგ ეძლეოდა.

მთავრობის ამ გადაწყვეტილებით მნიშვნელოვნად შემცირდა მოცდის პერიოდი. აღნიშნული ცვლილება ძალაში 1 ივლისიდან შევა. სოციალური დახმარების მიმღები ბენეფიციარები ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისით და საარსებო შემწეობით სარგებლობას სარეიტინგო ქულის მინიჭებიდან, მაქსიმუმ 2 თვის შემდეგ შეძლებენ.

მინისტრი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სოციალურად დაუცველ ოჯახებს ესტუმრა. მინისტრთან საუბრისას ძალიან ბევრმა ადამიანმა აღნიშნა, რომ სარეიტინგო ქულის მინიჭებიდან სოციალური დახმარების მიღებას რამდენიმე თვიანი ლოდინი სჭირდებოდა, რაც მათ სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა.

„ინტერპრესნიუსი“

მანანა მანჯგალაძე: საფრანგეთი იყო და მომავალშიც დარჩება ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან პარტნიორად

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, საფრაგენთის ახალ პრეზიდენტს ფრანსუა ოლანდეს გაპრეზიდენტებას უახლოეს მომავალში მიულოცავს.

როგორც ბრიფინგზე, პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა, საერთაშორისო არენაზე საფრანგეთი საქართველოს მნიშვნელოვანი პარტნიორი იყო და მომავალშიც დარჩება.

„საქართველოსა და საფრანგეთს შორის არსებულ პარტნიორულ ურთიერთობებს მრავალწლიანი ტრადიცია აქვს. საფრანგეთი იყო და მომავალშიც დარჩება ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან პარტნიორად საერთაშორისო არენაზე. ბუნებრივია, საქართველოს პრეზიდენტი მიულოცავს ფრანსუა ოლანდეს გაპრეზიდენტებას“,- განაცხადა მანჯგალაძემ.

შეგახსენებთ, რომ სოციალისტი ფრანსუა ოლანდე საფრანგეთის პრეზიდენტად აირჩიეს. მან ხმების თითქმის 52% მოაგროვა, ხოლო მისმა ოპონენტმა, ნიკოლა სარკოზიმ 48%.

1958 წლის შემდეგ პირველად მოხდა, როდესაც მოქმედმა პრეზიდენტმა ვერ გაიმარჯვა ხელახალ არჩევნებში. ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია, სავარაუდოდ, ამ თვის ბოლოს გაიმართება.

ინტერნეტ.ჯი.

საგარეო უწყებამ ფაშიზმთან ბრძოლაში დაღუპულ მეომართა ხსოვნას პატივი მიაგო

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ფაშიზმზე გამარჯვების 67-ე წლისთავთან დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, ეს თარიღი, მსოფლიოს ხალხთა და სახელმწიფოთა სოლიდარობისა და ერთიანობის უპრეცედენტო გამოვლინებას წარმოადგენს.

„8 მაისს, მსოფლიომ ფაშიზმზე გამარჯვების 67-ე წლისთავი აღნიშნა. ეს ღირშესანიშნავი თარიღი წარმოადგენს მსოფლიოს ხალხთა და სახელმწიფოთა სოლიდარობისა და ერთიანობის უპრეცედენტო გამოვლინებას საყოველთაო ღირებულებებისათვის გმირულ ბრძოლაში, რომლის შედეგად კაცობრიობამ თავის მომაკვდინებელ საფრთხეზე სასახელო გამარჯვება მოიპოვა. მეორე მსოფლიო ომის ტრაგიკულმა მოვლენებმა მსოფლიოს ხალხებს დაანახა ახალი საერთაშორისო სამართლის სისტემის შექმნის აუცილებლობა, რომელიც ძირშივე გამორიცხავდა მსგავსი გლობალური კატაკლიზმების გამეორებას და დედამიწაზე სტაბილურობისა და მშვიდობის გარანტი გახდებოდა“,- ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ პატივი მიაგო ფაშიზმთან ბრძოლაში დაღუპულ მეომართა ხსოვნას, მშვიდობიანი მოსახლეობის მრავალრიცხოვან მსხვერპლს, რომელიც შეიწირა მეორე მსოფლიო ომმა და კიდევ ერთხელ ღრმა მადლიერებით აღნიშნა ვეტერანთა თავდადება და წვლილი ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს წინაშე.

„ფაშიზმზე დიად გამარჯვებას კაცობრიობამ უდიდესი მსხვერპლის ფასად მიაღწია. არნახული მასშტაბის ომმა მილიონობით ადამიანი, მათ შორის, ასობით ათასი ჩვენი თანამემამულე შეიწირა. მეორე მსოფლიო ომში ქართველი მეომრები საკუთარი სამშობლოს ფარგლებს გარეთ, თავიანთი სიცოცხლის ფასად იცავდნენ ისეთ ზოგადსაკაცობრიო იდეალებს, როგორიცაა თავისუფლება, სამართლიანობა და მშვიდობა. ქართველ ხალხს შეუძლია სამართლიანად იამაყოს, თავისი მეომრებით, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ საყოველთაო საქმეში“,- აცხადებენ სამინისტროში.

ინტერნეტ.ჯი.

ლაზიკასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებების კომისია შეიქმნა

ლაზიკასთვის სპეციალური სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებების კომისიის შემადგენლობა დაამტკიცა.

კომისიის წევრები არიან საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლები, ასევე კონსტიტუციონალისტები.

კომისიაში იმუშავებენ: პავლე კუბლაშვილი, ლევან ვეფხვაძე, დავით დარჩიაშვილი, აკაკი მინაშვილი, ნუგზარ წიკლაური, ზურაბ მელიქიშვილი, გია თორთლაძე, ანდრო ალავიძე, გიორგი ახვლედიანი, ვახტანგ ბალავაძე, გურამ ჩახვაძე, რატი მაისურაძე, დიმიტრი ლორთქიფანიძე, პეტრე ცისკარიშვილი, პაატა დავითაია, გიორგი ცაგარეიშვილი, ჯონდი ბაღათურია, დიმიტრი ძაგნიძე, ვასილ გონაშვილი, გიორგი კვერენჩიხლაძე, ირაკლი ბურდული, დავით კერესელიძე და ნანა ჯიბლაძე.

შეგახსენებთ, რომ ქალაქ ლაზიკას სპეციალური სტატუსი მიენიჭება. შესაბამისი ცვლილება საქართველოს კონსტიტუციაში შევა, მისი ავტორი საქართველოს პრეზიდენტია.

ინტერნეტ.ჯი.

ინტერვიუ

უამრავი სიახლის მოლოდინში

ანატოლ სიჯინავა–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი

ბატონო ანატოლ! წლებია სოფლის მეურნეობის დარგში მოღვაწეობთ. მკითხველს მინდა გაეცნოთ და აქამდე გავლილი ცხოვრების გზაზე მოგვიყვეთ.

–დავიბადე 1949 წლის 22 თებერვალს, სოფელ საჯიჯაოში, დავამთავრე საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, ვარ სწავლული აგრონომი. ვმუშაობდი საჯიჯაოს კოლმეურნეობის აგრონომ-მელიორატორად, შემდეგ აგრონომად, 1989-1991 წლებში ვიყავი ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭაქვინჯის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე. 1991-1992 წლებში რ.ს.გ. „საქრძე“ ხობის რძის ქარხნის დირექტორი. შემდგომ–საჯიჯაოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, შ.პ.ს „ხეთის დაფნა და ციტრუსის“ წარმოების უფროსი. შ.პ.ს „შავი ზღვის ტერმინალის“ სამეურნეო სამსახურის უფროსი. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი. 2012 წლის თებერვლიდან დავინიშნე ხობის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსად.

უცხო თვალის გადასახედიდან სამსახურეობრივადაც და პირადი ცხოვრებითაც მიზანმიღწეული პიროვნება ბრძანდებით. რა არის ამისთვის აუცილებელი პირობა, თუ თვლით, რომ მიზნის მიღწევამდე ჯერ კიდევ ბევრი გაქვთ გასაკეთებელი?

–ყველაფერს ჩემი დაუღალავი შრომით მივაღწიე, იყო უმუშევრობის წლებიც, მაგრამ ხელი არ ჩამიქნევია, მყავდა სამი შვილი და მეუღლე, მათთვის თუ ცხოვრების ფუფუნება არა, ელემენტარული პირობები მაინც უნდა შემექმნა, ღვთის წყალობით ყველაფერი დარეგულირდა. მთავარია, სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდე, ცოტა ოპტიმიზმიც მიაშველო, როცა ჭიქაში წყალი ნახევრამდე ასხია, ეს უნდა აღიქვა, როგორც ნახევრად სავსე ჭიქა და არა როგორც ნახევრად ცარიელი.

სწორად შეგინიშნავთ, „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“, როგორც პირადში, ასევე სამსახურში. ჩემი ორი ქალიშვილი დაოჯახებულია, მყავს ძალიან კარგი სიძეები და ოთხი უსაყვარლესი შვილიშვილი. ვაჟი ლევანი სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტია. ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა და მასაც მინდა ხელი შევუწყო, რათა გახდეს წარმატებული და შემდეგ ლამაზი ოჯახი შექმნას.

სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური ახალი შექმნილია, ეს დარგი ჩვენი პრეზიდენტისთვის პრიორიტეტულია და მოგეხსენებათ, ახალშექმნილ სამსახურში ყველაფერი თავიდანაა დასაწყები, ასე, რომ საკმაოდ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი.

დღეს ჩვენი ქვეყანა აღმშენებლობის რელსებზე შემდგარი, თავისუფალი, დემოკრატიული, ევროპული სახელმწიფოა. პრეზიდენტის ინიციატივით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამაზე მეტყველებს თუნდაც რეგიონებისაკენ მიმართული ტექნიკა, მზაობა საგაზაფხულო ხვნა-თესვის წარმატებულად დამთავრებისათვის. რა მდგომარეობაა ხობის მუნიციპალიტეტში?

–სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა სახელმწიფო შ.პ.ს.–„მექანიზატორი“, ხობის მუნიციპალტეტში გამოიგზავნა 5 ტრაქტორი, რომელიც უკვე ჩაერთო ხვნა-თესვის პროცესში. ხვნა თითქმის ყველგან დამთავრებულია, 50% უკვე დათესილია. რეგიონის მასშტაბით ხობის მუნიციპალიტეტში საუკეთესო მდგომარეობაა ხვნა-თესვასთან დაკავშირებითა.

კონკრეტულად, გლეხს ერთი ჰექტარი მიწის დამუშავება რამდენი ლარი დაუჯდება და საწვავით მომარაგება თუ არის გათვალისწინებული?

–ერთი ჰექტარი მიწის ხვნა, ფარცხვა და თესვა შ.პ.ს. „მექანიზატორის“ ტრაქტორებით გლეხს დაუჯდება 260 ლარი, ამ თანხაში შედის საწვავიც. დარიგებული 30 ლარიანი ვაუჩერის გამოყენება, თუ ამის სურვილი ექნება, გლეხს შეუძლია ამ თანხის დასაფარავად, ანუ ვაუჩერის თანხა 30 ლარი დააკლდება მიწის დამუშავების 260 ლარს.

რა მდგომარეობაა პრეზიდენტის მიერ მოსახლეობისთვის დარიგებული ვაუჩერით სარგებლობის მხრივ. სად შეიძლება ვაუჩერით სასუქის ან საწვავის შეძენა?

–სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერების გასანაღდებლად მოსახლეობას შეუძლია მიაკითხონ მაღაზიებს, რომლებიც მდებარეობს ცოტნე დადიანის №244-ში (ყოფილი მონადირეთა კავშირის შენობა) და წმინდა ნინოს №5-ში, სადაც ვაუჩერის განაღდება ხდება მინერალური სასუქით, ასევე მეორე მაღაზიაში ვაუჩერის განაღდება შესაძლებელია სხვადასხვა თესლებითა და შხამქიმიკატებით.

გლეხი თუ ფერმერი ამ სეზონზე სოფლის მეურნეობაში რა სიახლეებს უნდა ელოდეს?

–მიმდინარე 2012 წელს ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ დარგადაა გამოცხადებული, ამიტომ გლეხი და ფერმერიც უნდა იყოს უამრავი სიახლის მოლოდინში, კერძოდ, შემოტანილი იქნება სხვადასხვა ჯიშის ბოსტნეულის ნერგები ჩვენს ბაზართან შედარებით, ძალიან დაბალ ფასებში, ასევე შემოვიტანთ შესაწამლ, სასხლავ აპარატებს და კიდევ ბევრი დასახელების როგორც მექანიკურ, ასევე ბენზო და ელექტრო ხელსაწყოებს.

უკვე ორი დღეა ქალაქის ცენტრს ახალჩამოყვანილი ტრაქტორები ამშვენებს, მექანიზატორთა რა კატეგორიას გადაეცემა იგი და როგორია განაწილების წესი?

მექანიზატორები შეირჩა სხვადასხვა სოფლებში და მთავარი განმსაზღვრელი კრიტერიუმი, რამაც გადაგვაწყვეტინა მათი სამსახურში აყვანა, იყო პროფესიული ცოდნა და გამოცდილება. დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ისინი ნამდვილი პროფესიონალები არიან.

თქვენი ახალი თანამდებობა ცოდნისა და გამოცდილების გარდა დიდ ენერგიასა და შრომას მოითხოვს. როგორ ფიქრობთ პრობლემების გადაჭრას?

–როგორც ჩემი ბიოგრაფიიდან ჩანს, სამ ათეულ წელზე მეტი ხნის გამოცდილება მაქვს იმ დარგში, რომელსაც ამჟამად ვხელმძღვანელობ, განვლილი წლები იყო როგორც აღმასვლის, ასევე ჩავარდნის, მაგრამ ადამიანისთვის მთავარია, იყოს ოპტიმისტი, ამას ემატება ისიც, რომ ცენტრალური ხელისუფლებიდან, ამ დარგს აქვს ძალიან დიდი მხარდაჭერა და ეს ყველაფერი მაძლევს იმის იმედს და გარანტიას, გადაიჭრას ყველა პრობლემა და ჩვენმა მოსახლეობამ ახლადშექმნილი სამსახურის აუცილებლობა იგრძნოს.

საკითხი, რომელზედაც გსურთ მკითხველს ესაუბროთ თან განმარტება მისცეთ, მოკლედ, კითხვა, რომელიც მე გამომრჩა.

–ქალბატონო მერი, თქვენ, გამოცდილი ჟურნალისტი ბრძანდებით, გამომდინარე თქვენი კითხვებიდან, ნაკლებად სავარაუდო იყო გამოგრჩენოდათ აუცილებელი შეკითხვები. მაგრამ მე მაინც დავამატებდი ერთს და მთავარს. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს მუნიციპალიტეტში სულ რაღაც ხუთი თვის წინ გამგებლად დაინიშნა ახალგაზრდა, ენერგიული და შრომისმოყვარე პიროვნება, რომელმაც გამგეობაში მოახდინა გადაადგილებები, ასევე მოიყვანა რამდენიმე გამოცდილი კადრი და საბოლოოდ შექმნა ისეთი გუნდი, რომლისთვისაც შესაძლებელია ნებისმიერი წინააღმდეგობის დაძლევა. გამომდინარე აქედან, დარწმუნებული ვარ, რომ მიმდინარე 2012 წელი ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის წარმატებული იქნება, როგორც პოლიტიკურ, ასევე სამეურნეო ასპარეზზე.

გმადლობთ კომპლიმენტისთვის და საინტერესო საუბრისთვის. თქვენი სამსახურის პრიორიტეტის გამო, ალბათ, სავარაუდოდ, ხშირად მოგიწევთ მკითხველთან შეხვედრა. მინდა წარმატებები გისურვოთ, უხვი და ბარაქიანი შემოდგომა ჰქონოდეს ჩვენი მუნიციპალიტეტის და სრულიად საქართველოს მოსახლეობას.

ესაუბრა
მერი ლაგვილავა

„დეპუტატობამ უფრო მიზანმიმართული გამხადა“

ნომრის სტუმარია ხობის სოციალური სააგენტოს უფროსი სპეციალისტი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი შუა ხორგის თემიდან გია ქაცარავა.

ბატონო გია, ცოტა რამ თქვენს შესახებ.

–დავიბადე 1970 წლის 26 მარტს, სოფელ შუა ხორგაში. 8 კლასის დამთავრების შემდეგ, სენაკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დავამთავრე. 2006 წელს კი სწავლა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესისა და მართვის სპეციალობით გავაგრძელე. მყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.

ხობის სოციალური მომსახურების სააგენტოში დიდი ხანია მუშაობთ, სადაც დატვირთული დღის რეჟიმი გაქვთ. როგორ ართმევთ თავს თქვენს საქმიანობას?

–ოც წელზე მეტია, ხობის სოციალური მომსახურების სააგენტოში უფროს სპეციალისტად ვმუშაობ. ჩემი უშუალო მოვალეობა პენსიის დანიშვნა და გადაანგარიშებაა. მართალია, სამსახურში დატვირთული დღის რეჟიმი გვაქვს, მაგრამ ეს არის საქმე, რომელსაც შევეჩვიე და მავალდებულებს, ყველა დეტალი ზუსტად გამოვთავალო, რადგანაც ციფრებთან მუშაობა არც ისე ადვილია, შეცდომის დაშვება კი გამორიცხული.

ძნელია საკუთარი თავის შეფასება, მაგრამ ვფიქრობ, ჩემს მოვალეობას თავს დადებითად ვართმევ.

ყველა საქმე შედეგით ფასდება, თქვენს მუშაობაში ყველაზე მნიშვნელოვანად რა მიგაჩნიათ?

–სააგენტოში ყველა საქმე მეტად მნიშვნელოვანია, ჩემს უშუალო საქმიანობაში დიდი ყურადღება პენსიის თანხის ზუსტ გაანგარიშებას სჭირდება. ამით ფასდება ჩემი მუშაობის ხარისხი.

გია, თქვენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ხართ შუა ხორგის თემიდან, რომელი სფეროა სოფელში თქვენთვის პრიორიტეტული და ამომრჩეველთა სასარგებლოდ ამ კუთხით რაიმე გაგიკეთებიათ?

–2010 წლიდან ვარ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. ყველაფერი ის, რაც სოფელსა და ამომრჩეველს ეხება, ჩემთვის პრიორიტეტულია. სოფელში ბევრი გადასაწყვეტი საქმეა. ვცდილობ, ყველა ოჯახის, ყველა ამომრჩეველის სურვილი მოვისმინო და სოფლის თავკაცთან ერთად მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამდე მივიტანო. უბრალოდ, რომ ვთქვა, გახლავართ შუამავალი ჩემს ამომრჩეველებსა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას შორის.

ამდენად, ვალდებული ვარ, ყველა სფეროში ჩახედული ვიყო. მსიამოვნებს ის ფაქტი, რომ ჩემი უშუალო ჩარევითა და მონაწილეობით შუა ხორგის საბავშვო ბაღში გაიხსნა მეორე ჯგუფი, სადაც დამატებით სამი პიროვნება დასაქმდა.

სოფელში დღეისთვის რა არის წინ წამოსაწევი საკითხი. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ წელს რა საკითხებია გათვალისწინებული, ალბათ, რასაკვირველია, ხალხის აზრიც იქნა მიღებული?

–სოფელში ბევრი პრობლემა იქნა მოგვარებული. ამჟამად მიმდინარეობს სამურღულიოს უბანში მდინარე ხობისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები, რომელიც უახლოეს დღეებში დასრულდება.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით სოფლის მოსახლეობამ წელს პრიორიტეტულად მიიჩნია სოფლის შიდა გზების მოხრეშვა, ძირითადად საბერაიოსა და სალატარიოს უბნებში, ხოლო ყორათში 1200 გრძივ მეტრზე უნდა ამოიწმინდოს სანიაღვრე არხი.

ჩვენს სოფელში ბევრი რამ კეთდება, მაგრამ გასაკეთებელი ჯერაც ბევრია. კერძოდ, კეთილმოსაწყობია სოფლის ცენტრი, საჯარო სკოლის სპორტული დარბაზი. გადასახურავია სოფლის ადმინისტრაციული სახლი, მდინარე ხობისწყალზე რამდენიმე ადგილას ნაპირსამაგრი სამუშაოებია ჩასატარებელი.

რთულია დეპუტატის მისია. სამსახურს, ოჯახსა და დეპუტატობას ერთმანეთს როგორ უთავსებთ, ხომ არ გიჭირთ დროის განაწილება?

–დეპუტატობა ნამდვილად არ არის ადვილი მისია, შენ ყველა ამომრჩევლის ცხოვრებით უნდა იცხოვრო. არ უნდა გამოგრჩეს არცერთი ნიუანსი, რომელიც მათ ეხებათ. მე ყველანაირად ვცდილობ მათთან ახლოს ვიყო. დრო რაციონალურად გამოვიყენო. ჯერჯერობით მგონია, რომ კარგად გამომდის.

რა შეგძინათ დეპუტატობამ?

–ხალხის დაფასებამ და დეპუტატად არჩევამ ამაღლებული განწყობილება შემძინა და უფრო ბრძოლისუნარიანი და მიზანმიმართული გამხადა. მაინტერესებს და ვცდილობ, ვიცოდე ჩემი ამომრჩევლების ყოველდღიურობა.

კიდევ რა შემძინა? უფრო უკეთ გამაცნო თითოეული ოჯახი, თითოეული ამომრჩეველი და რომ იცოდეთ, ამით დიდი მადლიერი და კმაყოფილი ვარ.

რას პირდებით იმათ, ვინც ხმა მოგცათ, ვინც გენდოთ?

–ყველა შუა ხორგელს, იყო თუ არა იგი ჩემი მომხრე, მე მხოლოდ ერთს ვპირდები, ნემებისმიერ დროს მათ გვერდით მიგულვონ!

რას ისურვებდით?

–სურვილი? მინდა ჩემი სოფელი, ხობის მუნიციპალიტეტი, ჩემი სამშობლო გაბრწყინებული, გაერთიანებული, ეკონომიკურად ფეხზე დამდგარი მეხილოს. ისეთი, რომ საქართველოს ძლიერებას სხვა ქვეყნები შურით შეჰყურებდნენ.

ესაუბრა
ნანი კილასონია.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N16

2012 წლის 27 აპრილი ქ. ხობი

„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 9 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 9 იანვრის N2 დადგენილებაში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი, 16.01.2012 წ. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.106.016051) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების“:

ა) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) უზრუნველყოს გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის საჭირო საორგანიზაციო საკითხთა მოგვარება და მათთვის აუცილებელი სამუშაო პირობების შექმნა;

ბ) უზრუნველყოს გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების მუშაობის მეთოდური ხელმძღვანელობა და მათთვის საკონსულტაციო-სამართლებრივი დახმარების გაწევა;

გ) უზრუნველყოს გამგეობაში ერთიანი საქმისწარმოება, გამგეობისა და გამგეობის თანამდებობის პირების სახელზე შემოსული წერილების, განცხადებების და სხვა დოკუმენტაციის აღრიცხვა, სისტემატიზაცია, მათი ანოტირება, სარეკვიზიტო და დოკუმენტური გაფორმება, ადრესატისადმი გადაცემა, კორესპონდენციის განსახილველად კანონით დადგენილი ვადების დაცვა, კორესპონდენციის გადაგზავნა, საარქივო მასალების ანოტირება და არქივის წარმოება; სამართლებრივი აქტების და სხვა დოკუმენტების აღრიცხვა და შენახვა;

დ) უზრუნველყოს გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა პირადი საქმეების წარმოება, მათი სამუშაოზე მიღების, სამუშაოდან გათავისუფლების, შვებულებაზე გასვლის, სამივლინებო, საპენსიო და სხვა დოკუმენტების მომზადება;

ე) უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტების პროექტების შედგენა, ასევე, მათ შედგენაში მონაწილეობის მიღება და სამართლებრივი აქტების პროექტების წინასწარი იურიდიული ექსპერტიზა, განსახილველ საკითხებზე შესაბამისი დასკვნების მომზადება;

ვ) წარმოადგინოს და დაიცვას გამგეობის ან/და თვითმმართველი ერთეულის ინტერესები სასამართლოში;

ზ) განახორციელოს გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

თ) უზრუნველყოს გამგეობის კავშირურთიერთობების ორგანიზება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, დაწესებულებებთან, საწარმოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან;

ი) უზრუნველყოს გამგეობაში დაგეგმილი შეხვედრების, თათბირების, პრესკონფერენციების, ბრიფინგების, ჟურნალისტებთან შეხვედრების ჩატარებისთვის აუცილებელი ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა;

კ) უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოთა მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და განსახორციელებელი პროექტების წარმოჩენა, მათი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ფორმით მიწოდება;

ლ) უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ამსახველ მონაცემთა საინფორმაციო ბანკის, ვიდეოთეკის, ფოტოთეკის შექმნა;

მ) შეასრულოს გამგებლის სხვა დავალებები“;

ბ) თავი III ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი III.
სამსახურის სტრუქტურა
მუხლი 4. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფები

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) საქმისწარმოების განყოფილება;

ბ) საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება;

გ) სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება;

მუხლი 5. საქმისწარმოების განყოფილება

საქმისწარმოების განყოფილება:

ა) უზრუნველყოფს გამგეობაში ერთიან საქმისწარმოებას. აყალიბებს საქმეთა ნომენკლატურას, შეიმუშავებს კლასიფიკატორებს, ინდექსებს, შიფრებსა და კოდებს;

ბ) უზრუნველყოფს გამგეობისა და გამგეობის თანამდებობის პირების სახელზე შემოსული წერილების, განცხადებების და სხვა დოკუმენტაციის აღრიცხვას, სისტემატიზაციას, მათ ანოტირებას, სარეკვიზიტო და დოკუმენტურ გაფორმებას, ადრესატისადმი გადაცემას, კორესპონდენციის გადაგზავნას, საარქივო მასალების ანოტირებას და არქივის წარმოებას;

გ) აფორმებს და აღრიცხავს მიღებულ დოკუმენტებზე გამგეობის თანამდებობის პირების დავალებებს და გადასცემს შემსრულებლებს; აკონტროლებს კორესპონდენციის განსახილველად გამზადებას და მოძრაობას, საკითხის განხილვაზე კანონით დადგენილი ვადების დაცვას;

დ) უზრუნველყოფს გამგეობის მოსამსახურეთათვის საქმისწარმოების წესების გაცნობას და კონტროლს მათ დაცვაზე;

ე) უზრუნველყოფს ადმინისტრაციული წარმოების დადგენილი წესებისა და პროცედურების დაცვას;

ვ) უზრუნველყოფს კადრების აღრიცხვას, გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა პირადი საქმეების წარმოებას, მათი სამუშაოზე მიღების, სამუშაოდან გათავისუფლების, შვებულებაზე გასვლის, სამივლინებო, საპენსიო და სხვა დოკუმენტების მომზადებას, გაფორმებას და აღრიცხვას;

ზ) უზრუნველყოფს საქმისწარმოებაში ბეჭდების, შტამპების, ბლანკების სათანადო გამოყენებას;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, გამგეობის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6. საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება

საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება:

ა) უზრუნველყოფს გამგეობის მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად აუცილებელი პირობების შექმნას;

ბ) ორგანიზებას უწევს გამგეობის ურთიერთობას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, დაწესებულებებთან, საწარმოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან;

გ) ორგანიზებას უწევს გამგეობის კავშირურთიერთობების ჩამოყალიბებას და თანამშრომლობის განვითარებას სხვა (მათ შორის საზღვარგარეთ) თვითმმართველ ერთეულებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

დ) ორგანიზებას უწევს ოფიციალური დელეგაციების მიღებას და გამგეობის ოფიციალური დელეგაციების მივლინებას;

ე) ორგანიზებას უწევს გამგეობის თანამდებობის პირების შეხვედრებს მოსახლეობასთან;

ვ) ორგანიზებას უწევს გამგეობის თანამდებობის პირთა მიერ მოქალაქეთა მიღებას;

ზ) უზრუნველყოფს გამგეობაში დაგეგმილი შეხვედრებისა და თათბირების მომზადებას და ჩატარებას, მოსაწვევ პირთა გაფრთხილებას და აღრიცხვას, სხვა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას;

თ) ორგანიზაციას უწევს პრესკონფერენციების, ბრიფინგების, ჟურნალისტებთან შეხვედრების ჩატარებას;

ი) ახდენს ჟურნალისტების აკრედიტაციას, მათთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნას, მათ ინფორმირებას, საზოგადოებასთან ქმედითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას;

კ) უზრუნველყოფს გამგეობის საქმიანობის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის გავრცელებას;

ლ) უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და განსახორციელებელი პროექტების წარმოჩენას, პრესრელიზების, შეტყობინებების და სხვა სახის საინფორმაციო მასალების მომზადებას და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ფორმით მიწოდებას;

მ) ახდენს გამგეობის თანამდებობის პირების, სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქებული მასალების და პუბლიკაციების ანალიზს;

ნ) ორგანიზებას უწევს სოციოლოგიური გამოკითხვების ჩატარებას;

ო) უზრუნველყოფს გამგეობის ოფიციალური ვებგვერდისთვის ინფორმაციების მოძიებას, მათ დამუშავებას და გამოქვეყნებას, ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირებას;

პ) ახორციელებს გამგეობის თანამდებობის პირებისა და გამგეობის სხვა საჯარო მოსამსახურეების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას;

ჟ) კოორდინაციას უწევს გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო მომსახურების, საქონლისა და სამუშაოთა შესყიდვის დაგეგმვას და უზრუნველყოფს ადგილობრივი შესყიდვების გეგმით მათთვის გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვას;

რ) უზრუნველყოფს გამგეობის სარგებლობაში არსებული ინვენტარისა და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვას, შენახვას, კონტროლს მათ რაციონალურ გამოყენებაზე, მათ მოვლასა და დაცვას;

ს) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, გამგეობის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6[1]. სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება

სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება:

ა) უზრუნველყოფს გამგებლის, გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების იურიდიულ კონსულტირებას;

ბ) ამზადებს საკრებულოს მიერ განსახილველი და საკრებულოს თავმჯდომარის და გამგებლის მიერ გამოსაცემი სამართლებრივი აქტების პროექტებს. მეთოდურ დახმარებას უწევს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულებს სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში;

გ) უზრუნველყოფს გამგეობაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების, ადმინისტრაციული გარიგებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების და სხვა იურიდიული შინაარსის დოკუმენტების სამართლებრივ გამართულობას, მათ შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან;

დ) ახდენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტების ექსპერტიზას, აკონტროლებს მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, საჭიროების შემთხვევაში ამზადებს წინადადებებს მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტის გაუქმების ან მასში ცვლილების შეტანის შესახებ;

ე) ამზადებს სამართლებრივ დასკვნებს სამართლებრივი აქტების პროექტებთან და განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით;

ვ) უზრუნველყოფს გამგეობის კანონიერი ინტერესების დაცვას სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ზ) წარმოადგენს და იცავს გამგეობის ან/და თვითმმართველი ერთეულის ინტერესებს სასამართლოში;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, გამგეობის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს“;

გ) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში გამგებლის დავალებით მის მოვალეობას ასრულებს სამსახურის ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი.“;

დ) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. სამსახურის უფროსი

1. სამსახურის უფროსი:

ა) უძღვება სამსახურის საქმიანობას;

ბ) უზრუნველყოფს სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად აუცილებელი პირობების შექმნას;

გ) გამგებელს თანამდებობაზე დასანიშნად და თანამდებობიდან გასათავისუფლებლად წარუდგენს სამსახურის შესაბამის საჯარო მოსამსახურეთა კანდიდატურებს;

დ) შეიმუშავებს სამსახურის საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს და მოსამსახურეთათვის ფუნქციონალურ მოვალეობათა განაწილებას;

ე) ამზადებს გამგეობის შრომის შინაგანაწესს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და კონტროლს უწევს მოსამსახურეთა მიერ შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების შესრულებას;

ვ) გამგებელს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის სტრუქტურის, საშტატო რიცხოვნების, მუშაობის ორგანიზაციის, თანამშრომელთა წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ზ) ხელს უწყობს და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საჯარო მოსამსახურეთა სწავლებას, კვალიფიკაციის ამაღლებას და ატესტაციის ჩატარებას;

თ) ხელს უწყობს და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად საჯარო კონკურსის მოწყობას და ჩატარებას;

ი) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტების აღსრულებისა და გამგებლის დავალებების შესრულების უზრუნველსაყოფად ახორციელებს მიღებული გადაწყვეტილებების დაგზავნას და ოფიციალურ შეტყობინებებს;

კ) გასცემს ცნობებს სამსახურში დაცული საკადრო და სხვა სახის დოკუმენტაციის საფუძველზე;

ლ) ინახავს და არსებული წესების შესაბამისად იყენებს სამსახურის ბეჭედს და შტამპებს;

მ) ამოწმებს ხელმოწერითა და ბეჭდით დოკუმენტების ასლებს;

ნ) ამოწმებს გამგეობაში მოვლინებული მოქალაქეების სამივლინებო ბარათებს.

ო) გამგებელს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

2. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე“.

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

მამუკა ჯოხონელიძე,
საკრებულოს თავმჯდომარე.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

საკრებულოს თავმჯდომარე მოსახლეობას შეხვდა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე მუნიციპალიტეტის თემებისა და სოფლების მოსახლეობასთან ადგილზე შეხვედრებს განაგრძობს. 1 მაისს ის თორსადღვაბის, ხამისქურის, ხეთისა და პირველი მაისის თემებში იმყოფებოდა. საკრებულოს თავმჯდომარე დაინტერესდა საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესით, მოსახლეობის პრობლემებით და მათ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მაქსიმალური მზაობა აღუთქვა ნებისმიერი საკითხის მოგვარებაში.

მ. ჭოხონელიძის შეხვედრა მოსახლეობასთან „მოქალაქეთა მიღების საათის“ გრაფიკის შესაბამისად გაგრძელდება.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია

ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა ხობში

საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, პირველი აპრილიდან ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამოქმედდა ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებში „ჯანდაცვის ცენტრი“, ხობის მუნიციპალიტეტის რაიონული საავადმყოფოს ტუბკაბინეტთან ერთად, ჩაატარებს ტუბერკულოზის (მ.გ.ბ+ - დადებითი) თითოეული შემთხვევის და კონტაქტების ეპიდემიოლოგიურ კვლევას, ასევე, ორჯერად ტესტირებას ადგილზე მისვლით.

პირველი აპრილიდან ხორციელდება მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებებიც. ამჟამად მიმდინარეობს წყალსატევების აღრიცხვა და პასპორტიზაცია.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია

პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღე

გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის „იუნესკოს“ გადაწყვეტილებით, 1991წლიდან 3 მაისს მსოფლიო პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეს აღნიშნავს.

საქართველოში კონსტიტუციითაა გარანტირებული ყველა ადამიანის უფლება, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, თავისი მოსაზრება როგორც ზეპირი, წერილობითი და სხვა ფორმით. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია და მათზე ცენზურა დაუშვებელია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასმედიის როლი ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და, შესაბამისად, უდიდესი პასუხიმგებლობა ეკისრება ჟურნალისტს, რომლის მთავარი პრინციპი უნდა იყოს მიუკერძოებლობა, ოპერატიულობა და ფაქტების, მოვლენების ობიექტურად ასახვა-შეფასება.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტში მოღვაწე პრესის ყველა მუშაკს ულოცავს პროფესიულ დღესასწაულს და წარმატებებს უსურვებს თავიანთ საქმიანობაში.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია

ხობელი მოსწავლეები სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე დიპლომებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ

5 მაისს საქართველოს მოსწავლე - ახალგაზრდობის ეროვნულმა სასახლემ სასწავლო- შემოქმედებითი კონფერენცია გამართა. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მასშტაბით მოქმედი საჯარო, სრული და არასრული საშუალო სკოლების, გიმნაზიების, კოლეჯების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეების (სახლები) და ცენტრების წრის მოსწავლეებმა. კონფერენციაზე წარდგენილი იყო „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრთან“ არსებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საქართველოს ისტორიის. ქართული ლიტერატურის, ქიმიის, ეკოლოგიის, ფოლკლორის და უცხო ენების ჯგუფების მოსწავლეთა ნაშრომები, რომელთაგან 6 ნაშრომი შეფასდა პირველი ხარისხის დიპლომით, ხოლო თექვსმეტი ნაშრომის ავტორი დაჯილდოვდა სიგელით.

საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციას ყოველწლიურად ატარებს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდთა შესაძლებლობების, ნიჭისა და უნარების მაქსიმალურ გამოვლენა-განვითარებას.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია

პროფესიული სწავლების ცენტრის 70 კურსდამთავრებულს სერთიფიკატი გადაეცა

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის“ ინფორმაციით, სხვადასხვა სპეციალობით (მდივან-რეფერენტი, უცხო ენა (ინგლისური), ქალისა და მამაკაცის სტილისტი (პარიკმახერი), ტრაქტორისტ-მემანქანე, მინანქრის ხელოსანი, თექის დამუშავების ოსტატი.) მომზადება-გადამზადების სრული კურსი გაიარა 70 მსმენელმა და მათ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერთიფიკატი გადაეცათ.

ამჟამად ცენტრში „თექის დამუშავების ოსტატის“ მომზადებისა და „ბც“ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლთა გადამზადების კურსებზე სწავლას განაგრძობს 25 მსმენელი.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია

ხობელი ნორჩი სპორტსმენების წარმატება მძლეოსნობაში

5-6 მაისს ქალაქ თბილისში გამართულ საქართველოს ღია პირველობაზე მძლეოსნობაში წარმატებით იასპარეზა საქართველოს ნაკრების წევრმა, ხობის მუნიციპალიტეტის „განათლების ცენტრის“ სასპორტო სკოლის აღსაზრდელმა გრიგოლ ახალაიამ და 50 მეტრზე რბენასა და ამანათრბენში პირველ ადგილი დაიკავა. დაბა ჯვარში გამართულ რეგიონალურ ტურნირზე მძლეოსნობაში ასევე წარმატებით იასპარეზეს ხობის მუნიციპალიტეტის „განათლების ცენტრის“ სასპორტო სკოლის ნორჩმა მძეოსნებმა და ერთი პირველი (მ. ჩხენკელი-შუბის ტყორცნა), ოთხი მეორე (ჯ. ბუკია- 800 მ. და 150 მ. რბენა; მ. ჩხენკელი–100 მ. და 200 მ. რბენა; ზ. ბაგრატია - სიგრძეზე ხტომა; გ. კორტავა–შუბის ტყორცნა) და ერთი მესამე ადგილი (გ. კორტავა–ბადროს ტყორცნა) დაიკავეს. ამასთან, ამანათრბენში ხობელ გოგონათა და ჭაბუკ მძლეოსანთა გუნდებმა გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია

გამგებლის შეხვედრები მოსახლეობასთან გრძელდება

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგა ღურწკაია განაგრძობს მუნიციპალიტეტის დასახლებებში მოსახლეობასთან შეხვედრებს. მორიგი შეხვედრა 14 მაისს ხობში, გამსახურდიასა და გორგასლის ქუჩაზე გაიმართა, სადაც ადგილზე მოხდა მოსახლეობისთვის პრობლემური საკითხების განხილვა. მოსახლეობის მხრიდან ძირითად პრობლემად დაისვა გზების მოხრეშვისა და სანიაღვრე არხების ამოწმენდის საკითხი. შეხვედრაზე გამგებელმა მოსახლეობას გააცნო უახლოეს მომავალში მუნიციპალიტეტის მასშტაბით განსახორციელებელი გეგმები და პროექტები. ასევე, ერთობლივად განიხილეს საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესი, რისთვისაც მოსახლეობის მოთხოვნით, ტექნიკა დამატებით იქნა გამოყოფილი.

შეხვედრა ნორჩ ჟურნალისტებთან

1 მაისს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის” მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული ნორჩი ჟურნალისტების წრის აღსაზრდელებმა მუნიციპალიტეტის გამგებელს გოგა ღურწკაიას ერთგვარი პორტრეტული ხასიათის ინტერვიუ ჩამოართვეს, რომელიც მიზნად ისახავდა რესპოდენტის არაოფიციალურ რაკურსში წარმოჩენას. ნორჩი ჟურნალისტების კითხვები ძირითადად ეხებოდა გამგებლის, როგორც პირად ცხოვრებას, ასევე მის საზოგადოებრივ საქმიანობას, ბავშვობის წლებს. ისაუბრეს ასევე, სამომავლო გეგმებზე, მუნიციპალიტეტის მასშტაბით განსახორციელებელ მნიშვნელოვან პროექტებზე. ინტერვიუმ, სპეციფიკიდან გამომდინარე, გულთბილ და უშუალო ვითარებაში ჩაიარა. დასასრულს, მუნიციპალიტეტის გამგებელმა მადლობა გადაუხადა შეხვედრის ინიციატორებს და მოსწავლეებს მსგავს ღონისძიებეთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები გაუზიარა. „ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ ფორმატის შეხვედრები, რადგან თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის მარგალიტები, დამოუკიდებელი და ძლიერი საქართველოს ხვალინდელი დღე და გაქვთ იმის საშუალება, რომ ქვეყანას თქვენი ნიჭი მოახმაროთ,“–განაცხადა გოგა ღურწკაიამ.

ნორჩი ჟურნალისტები საზოგადოების წევრებთან მათთვის საინტერესო საკითხებზე კვლავ შეხვედრებს გეგმავენ.

ინტელექტუალური თამაშები „რა? სად? როდის?“

12 მაისს ხობის კულტურის სახლში, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ინტელექტ კლუბის „რა? სად? როდის?“ ერთობლივი ორგანიზებით ინტელექტუალური ჩემპიონატი „რა? სად? როდის?“ გაიმართა, რომელშიც მუნიციპალიტეტის 24 საჯარო სკოლის მე-6 - მე-12 კლასის მოსწავლეები გუნდური პრინციპით იღებდნენ მონაწილეობას. ტურნირის პირველ ეტაპზე მათ 24 კითხვას გასცეს სწორი პასუხი, რის შედეგადაც გამარჯვებული გუნდები გამოვლინდნენ: პირველი ადგილის მფლობელი ხობის №2 საჯარო სკოლა გახდა, მეორე ადგილი ნოჯიხევის მეორე საჯარო სკოლამ დაიკავა, ხოლო მესამე ადგილზე ხობის №1 საჯარო სკოლა გავიდა.

გამარჯვებული გუნდები ფასიანი საჩუქრებით ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და ხობის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლებმა დააჯილდოვეს. პირველი ადგილის მფლობელი გუნდი საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად 9 ივნისს თბილისში, 69 მუნიციპალიტეტის გამარჯვებულ გუნდებს დაუპირისპირდება.

„მის თინეიჯერი 2012“-ის შესარჩევი ტური გაიმართა

9 მაისს ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლში, სამოდელო სააგენტო „კატრინის“ ორგანიზებითა (პრეზიდენტი ეკა მგალობლიშვილი) და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით გაიმართა საერთაშორისო სამოდელო კონკურსის „მის თინეიჯერი 2012" შესარჩევი ტური, სადაც მონაწილეობას 75 კონკურსანტი იღებდა. კონკურსი გაიმართა ორ ასაკობრივ ჯგუფში 4-დან 14-წლამდე და 15-დან 19-წლამდე. შერჩევის შედეგად გამოვლინდა 20 კონკურსანტი, რომლებიც 12 მაისს ანაკლიაში, „მის თინეიჯერი სამეგრელო-ზემო სვანეთის“ რეგიონალურ ჩვენებაზე მიიღებენ მონაწილეობას.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაციები

9 მაისი, 67-ე გაზაფხული...

კიდევ ერთი ზეიმადქცეული დღე!..

მძიმე მოგონებებით აღსავსე 67 წელიწადი ისტორიის კუთვნილება გახდა. 9 მაისს საბჭოთა არმიამ ფაშისტთა ბოროტების სავანე დაამარცხა. ქართველთა წარმოდგენაში ეს დღე ასოცირდება გამარჯვებასთან, თავისუფლებასთან, სიმშვიდის დასადგურებასთან... ომგადახდილი... 9 მაისი... ერთმანეთისაგან განუყოფელნი არიან. მათ ხომ გამარჯვების შეუპოვარი რწმენით მტერზე გამარჯვება მოიტანეს და ეს დღე ზეიმად აქციეს. გაზაფხულის მობრძანება ყველაზე მეტად ნაომარ ადამიანებს აფორიაქებს, ალამაზებს... თითოეულმა მათგანმა ხომ გაზაფხული და გამარჯვების სიხარული პირველებმა იხილეს...

გამარჯვების დღესასწაული ხობელი ომგადახდილებისთვის ქალაქის ცენტრში შეკრებით დაიწყო. ვეტერანები და შეკრებილი საზოგადოება მიკროავტობუსებით ხეთის საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმისაკენ გაემართნენ, სადაც ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის სამსახურმა და ხობის მუნიციპალიტეტის ცენტრმა გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება მოაწყვეს. იქაურობა მერამდენედ მასპინძლობს სტუმრებს.

მუზეუმის ეზოში ისმის ლევიტანის ხმა... სტუმრები ეზოში შედიან... სანთლებს ანთებენ და ყვავილებით ამკობენ შინმოუსვლელთა სიმბოლურ საფლავებს. „დენ პაბედის“ ფონზე იკრიბებიან მუზეუმის შესასვლელთან პირობითად მოწყობილ სცენაზე და იწყება მისალმებისა და მოლოცვის ცერემონიალი. ღონისძიების წამყვანი ქალბატონი **მარინა ჯღარკავა** ესალმება ვეტერანებს, სტუმრებს: –„67-ე გაზაფხული დამდგარა დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან. 67 მოგონებისა და ხსოვნის წელი, რომელსაც ოდნავადაც არ გაუყუჩებია ფაშიზმის ბარბაროსობით მიყენებული ტკივილები, არ განუქარვებია სევდა მილიონობით ადამიანის შეწირულ სიცოცხლეზე... და დგანან ობელისკები თუ მემორიალები, ქედს ვიხრით ძმათა საფლავებთან, რომლებიც წმინდა ადგილებად, ხსოვნისა და პატივისცემის სიმბოლოდ ქცეულა.

... დღეს 9 მაისია, გამარჯვების დღე და ჩვენ თქვენთან ერთად კიდევ ერთხელ მოვედით აქ, რათა პატივი მიგვეგო ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი, კიდევ ერთხელ დაგვენთო სანთლები შინმოუსვლელთა სიმბოლურ საფლავებთან.

გამარჯვების კიდევ ერთი ულამაზესი დღე დამდგარა. ეს დღე თქვენ გეკუთვნით ძვირფასო ომგადახდილებო, გილოცავთ!“

მუნიციპალიტეტის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ **ალექსანდრე ცხადაიამ** ყველას მიულოცა ფაშიზმზე გამარჯვების 67-ე გაზაფხული, გაიხსენა ომის ქარცეცხლიანი დღეები და მადლობა გადაუხადა შეკრებულ საზოგადოებას, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ მამუკა ჭოხონელიძეს, მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ გოგა ღურწკაიას, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსს ქალბატონ ჯულიეტა ქვარაიას, კულტურის ცენტრის უფროსს ბატონ ბეჟან ნადარაიას თანადგომისათვის, დაფასებისთვის და იმ ყურადღებისთვის, რასაც ისინი მათ მიმართ ყოველთვის იჩენენ.

ვეტერანებს მიესალმა და გამარჯვების დღე მიულოცა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა **მამუკა ჭოხონელიძემ**:–„გილოცავთ ამ მნიშვნელოვან თარიღს, რომლის დადგომაც თქვენ და თქვენმა თანამებრძოლებმა განაპირობეთ საკუთარი სიცოცხლისა და სისხლის ფასად. თქვენ იცოდით, რისთვისაც იბრძოდით და გამარჯვებაც მოიპოვეთ. ჩვენ კი ძმათამკვლელი ომი გამოვიარეთ მტრის, მომხვდურის ინსპირირებითა და წაქეზებით. ვიწვნიეთ რუსეთის აგრესია. დღეს დედასაქართველოს მოწყვეტილია ენგურსგაღმა ტერიტორია და სამაჩაბლო, მაგრამ თქვენი გმირული საქციელი გვავალდებულებს და გვაძლევს რწმენას, რომ არცერთი გოჯი ჩვენი მშობლიური მიწა-წყლისა არ დარჩება ოკუპანტს და საქართველო იქნება ერთიანი, ძლიერი და ამაყი სახელმწიფო. გარწმუნებთ, ეს დრო სულ მალე დადგება და თქვენ მოესწრებით ამ ბედნიერი დღის დადგომას. 21 წელია ეს თარიღი აღინიშნება დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში, რომელიც თავის ხმას უერთებს ცივილიზებულ მსოფლიოს და უარს ამბობს ფაშიზმზე, აგრესიაზე, ომზე“...

გოგა ღურწკაია–ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი:–„9 მაისი ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, ეს არის მსოფლიოს გაერთიანებისა და ბოროტების დამარცხების სიმბოლო, დიადი გამარჯვება ფაშისტურ გერმანიაზე, ეს ერთ-ერთი უმთავრესი შემაკავშირებელი სიწმინდე იყო ქართველი ერისთვის, ჩვენი ერთიანობის სიმბოლო. სამამულო ომში გამარჯვება იყო ის ბოლო აკორდი, რომელმაც საბოლოოდ ერთ ოჯახად შეკრა ქართველი ხალხი. ჩვენ ვალდებულნი ვართ, ყოველთვის გავიხსენოთ ჩვენი გმირები, რომელთაც საკუთარი სიცოცხლე გასწირეს სამშობლოსა და მომავალი თაობის თავისუფლებისათვის.

თითოეულ თქვეთანაგანს გილოცავთ ამ უმნიშვნელოვანეს თარიღს და გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და უფლის წყალობას.“

ანსამბლ „კოლხეთის“ მიერ შესრულებულმა სიმღერებმა, მსახიობ რამაზ ლოლუას წაკითხულმა ლექსმა, სიცოცხლე, მომავლის იმედი გაუღვიძა ძნელგზაგამოვლილთ. იყო ურთიერთ სიყვარული, მომავლის შეხვედრებით დამშვიდობება. იყო წარსულის გაცოცხლებით ღიმილიანი და სევდიანი განშორება, სიმღერას ვეტერანთა ცრემლნარევი მოგონებები ცვლიდა, გამოიხატა უსაზღვრო სითბო და მადლიერება ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ.

საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ბიუროს თავმჯდომარემ დავით ჭითანავამ ვეტერანებს დეპუტატის სიმბოლური საჩუქარი–თითოეულს 50-50 ლარი და ქართული ღვინო გადასცა.

ხოლო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და გამგეობამ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყველა ვეტერანს საჩუქრად 100-100 ლარი ჩაურიცხა მათ პირად ანგარიშზე (მათ ვინც შეხვედრას არ ესწრებოდა, თანხა შინ გაუგზავნეს).

ღონისძიების შემდეგ ლამაზი წუთები ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოწყობილ სადილზე გაგრძელდა.

ნანა კემულარია.

ომგადახდილები

მრავალჟამიერ, თქვენი სიცოცხლე!

9 მაისი–ფაშიზმზე გამარჯვების 67-ე წლისთავი. ფაშიზმზე გამარჯვებაში ღირსეული წვლილი ქართველმა ხალხმაც შეიტანა. ხობიდან ფრონტზე 7500 მეომარი წავიდა. იშვიათი იყო ოჯახი, რომ არ ეგრძნო ომით მიყენებული ჭრილობა, არ განეცადა შვილის, მეუღლის, ახლო ნათესავისა თუ მეგობრის დაღუპვით გამოწვეული უზომო მწუხარება.

საქართველოში ოდითგანვე მიაგებდნენ გმირებს განსაკუთრებულ პატივს. დღეს კი ვფიქრობ, ეს პატივისცემა მათდამი უნდა გავაათმაგოდ, რადგან როგორც თავად ამბობენ, „ცოტანი შემოვრჩითო ამ წუთისოფელს“. თავი მოვალედ ჩავთვალე და ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირს ვესტუმრე. იქ მისულს ამ კავშირის დირექტორი ბატონი ალიოშა ცხადაია და მისი მოადგილე ბატონი გული ჭაკუა დამხვდნენ. ისინი, საცხრამაისო მზადებაში იყვნენ. მათი გმირობის ამსახველი ფოტო მასალის გამოყენებით სტენდს აწყობდნენ, რომელიც ისტორიად ქცეული მატიანე გახლავთ, როგორც საუბარში ბატონმა ალიოშამ გვითხრა: „ამ სტენდით ჩვენ გვინდა თაობებს დავანახოთ რანი ვიყავით და რანი ვართ ახლაო.“ გულისტკივილით ამბობს რომ მუნიციპალიტეტში 25 ვეტერანი დავრჩით, „მთავრობის მხრიდან მუდამ განვიცდით მატერიალურ და მორალურ დახმარებას, ხელისუფლება უყურადღებოდ არც ერთს არ გვტოვებს, მზრუნველობას არ გვაკლებენო“.

ჩუმად იჯდა და ჩვენს საუბარს ყურს უგდებდა ბატონი გული ჭაკუა. როცა საუბარი ომში გატარებულ დღეებზე ჩამოვარდა, ნაღვლიანდ შემოგვხედა, თითქოს გაიფიქრა კიდეც ახლა ადვილია ამაზე საუბარიო და ჩუმად ჩაილაპარაკა: „ნურასოდეს განმეორებულიყოს და განეცადოს ქვეყანას ისეთი მსხვრევა, ულეტვა, კაცთაკვლა, რისი მოწმენიც ჩვენ გახლდით, ნურასოდეს დანისლულიყოს ჩვენი კრიალა, მოქუფრული ცა.“

მაგრამ ბრძოლის ველზე როცა სიკვდილისთვის ბევრჯერ თვალებში შეუხედავს, ერთხელაც არ უნანია ომში რომ წამოვიდა. როცა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის მძიმე განსაცდელის ჟამი დადგა, მან ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა და ბრძოლის ქარ-ცეცხლიან გზას გაუდგა. საბრძოლო ბიოგრაფია სხვა მებრძოლებისაგან არაფრით განასხვავებს, ამიტომ დეტალურად არ მოგითხრობთ ეპიზოდებს მისი საბრძოლო ცხოვრებიდან, ვიტყვი მხოლოდ ერთს, მის მამაცობასა და ერთგულებაზე ის მედლებიც მეტყველებენ, რომელიც მის პიჯაკს აგრერიგად ამშვენებს.

9 მაისი დიდი ტკივილითა და ცრემლითაა ისტორიაში დაწერილი, რაც ქართველ ერს არასოდეს დაავიწყდება. მე კი მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა ვეტერანს მივულოცო ეს ღირშესანიშნავი თარიღი, ჯანმრთელობა და დიდი ხნის სიცოცხლე ვუსურვო მათ.

ნინო გერგაია

ვამაყობთ შენით

ვლადიმერ (გაჯილ) ბერაიას ხსოვნა



დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან პირველი 9 მაისი გათენდა უშენოდ ჩვენო ბრძენო და კარგო ბაბუა. არადა, როგორ გიყვარდა გამარჯვების დღესასწაული, როდესაც შენთან ვიყავით, გვიყვებოდი შენს თავს გადახდილ საბრძოლო ეპიზოდებს. შენგან ვიცით, რომ 1941 წელს სრულიად ახალგაზრდა თეირანში ცხენოსანთა კავალერიაში მსახურობდი. სწორედ იქ მოგისწრო თურმე დიდმა სამამულო ომმა. აზოვის ზღვით გადმოგიყვანეს... და ბრძოლის ველზე აღმოჩნდი. მთელი 17 თვე იბრძოდი როსტოვის მისადგომებთან ...შემდეგ დაჭრილი როგორ მოხვდი ტაგანროგის საველე ჰოსპიტალში, ბოლოს ბაქოში იყავი და იქიდან კი საქართველოში დაგაბრუნეს. ხობში ჩამოსული შრომით ფერხულში ჩაები. პატიოსანი, ალალი, შრომისმოყვარე და ჭკუის დამრიგებელი კაცი იყავი. ჩვენ, შენი შვილიშვილები, ასე გიცნობდით და ვამაყობდით შენით.

ბაბუა, შენ დიდი ოჯახის ბურჯი იყავი. ჩვენ არასოდეს დაგვავიწყდები, არც შენს საფლავს დავივიწყებთ და არც შენს განვლილ გზაზე ვიტყვით აუგს, პირიქით, ვიამაყებთ შენით.

ბაბუ, შენ წახვედი, მაგრამ ზარა ბებია, რომელთანაც მთელი 34 წელი იცხოვრე, ჩვენ ყოველთვის თბილად და სიყვარულით დაგვხვდება. იცოდე, ჩვენც დიდ პატივს მივაგებთ მას. ვიცით, რომ ის შენს საფლავს ღირსეულად მოუვლის და ჩვენც თბილად და კეთილად შემოგვეგებება.

ბაბუ, ჩვენ შენი იმედები გავამართლეთ. ორივე ექიმები ვართ. გჯეროდეს, არასოდეს შეგარცხვენთ. ღირსეული ადამიანები ვიქნებით.

შენ კი ჩვენო ტკბილო და კეთილო ბაბუა, გჯეროდეს, შენს საფლავს ყოველთვის ვესტუმრებით, ყვავილებს მოგიტანთ, სანთლებს აგინთებთ და ლოცვებს წაგიკითხავთ.

მშვიდობით, გაჯილ ბაბუ!

ნათელში იყოს შენი სული.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, დიად გამარჯვებას!

მედეა და ეკა ბერაიები

სოფელი

მეოცნებე სოფელი „ქარიანტე“

საქართველოში სოფლის სილამაზითა და მშვენებით ვერავის გაკვირვებ და ვერც უპირატესობას მიანიჭებ. ყველა სოფელი ქართული მიწა-წყლის მადლითა და სითბოთი სუნთქავს. არსებობს ხიბლი, რომელიც თანდაყოლილია და ამით თუ გამოარჩევ ამა თუ იმ ადგილს. ქარიატაც ამ ხიბლის მატარებელია, სოფელი ქარიატა მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 18 კილომეტრითაა დაშორებული, იგი გადაჭიმულია 7 კმ-ზე მდინარე ხობისწყლის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე. სოფლის გაღმა-გამოღმა უბანი ერთმანეთთან ბონდის ხიდითაა დაკავშირებული.

სოფელში ირიცხება 310 კომლი, მათ შორის 16 ლტოლვილთა ოჯახია 45 მცხოვრებით.

სოფელში ძირითადად შემდეგი გვარებია გავრცელებული: ბერაია, გვასალია, ტაბაღუა, წულაია, გიგიბერია, ლოლუა, ქაქუთია, ღურჯია, ბერიშვილი, ჟველია. როგორც ძველი გადმოცემიდან ირკვევა, სოფელმა სახელწოდება ქარიატა ანუ „ქარიანტე“ ჯერ კიდევ ძველი კოლხეთის პერიოდში მიიღო. გადმოცემით რომაელი კოლონისტები შავი ზღვიდან მდინარე ხობის წყლის აუზში იალქნიანი გემებით შემოსულან, მდინარის დინებას აყოლიან, ქარიატას მიდამოებში ფოთლოვანი ხეებით დაბურულ ტყეთა ხილვით აღტაცებაში მოსულებს უნებურად აღმოხდენიათ–„ქარიანტე“, რაც მათ ენაზე თურმე მშვენიერს ნიშნავს.

სოფელში ფუნქციონრებს ერთი საჯარო სკოლა, რომელიც 1970 წელს არის აშენებული. მოქმედებს საბავშვო ბაღი.

1930–31 წლებში მიწის დამმუშავებელი ამხანაგობის ბაზაზე ქარიატაში სამი კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა, რომელთა პირველი თავმჯდომარეები იყვნენ: მიხა ჟვანია, უცი აბაკელია და ამბაკო გვასალია. 1954 წელს ეს კოლმეურნეობები გაერთიანდნენ და მათ ბაზაზე შეიქმნა გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც 1968 წელს სატყეო–სანერგე სახელმწიფო მეურნეობად გადაკეთდა. თავიდანვე მეურნეობის დანიშნულება რესპუბლიკის რაიონების სხვადასხვა ჯიშის წიწვოვან და ფოთლოვან ხეთა ნერგებით მომარაგება იყო. მაშინდელი მეურნეობის ფართობზე 50 ჰექტარი ბუნებრივ და ხელოვნურ ტყეებს ეჭირა. მეურნეობის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი მუშათა სასადილო არსებობდა. სწორედ იმ პერიოდში სოფლის ცენტრში ავტომოსაცდელი, კლუბი და ბიბლიოთეკა აშენდა.

ლამაზ სოფელში სულით ლამაზი ადამიანები ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ. აქ დაიბადა ხუტა ბერულავა, რომელმაც თავისი შემოქმედებით მისთვის სათაყვანო სოფელი ქარიატა საქართველოს ყოველ კუთხე-კუნჭულს გააცნო.

„ქარიატა, ქარიატა, შენსკენ
მოვიჩქარი,
რომ გადავცე საქართველოს
სიყვარული შენი...“

ბატონი დიმიტრი გიგიბერია სოფელში მიღებულმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ ქართულ მწერლობას აზიარა და მისი დიდი ოჯახის ღირსეული წევრი გახადა. მუშაობდა სოხუმის გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქციაში სიცოცხლის დასასრულამდე მან თორმეტიოდე პოეტური კრებული გამოაქვეყნა.

სოფელი დღეს

რა ხდება დღეს სოფელში, რა პრობლემები აწუხებთ იქაურ მაცხოვრებლებს, რა კეთდება და რას მიიჩნევენ მომავალში გასაკეთებლად, ამ და სხვა თემებზე გვესაუბრება გამგებლის რწმუნებული ქარიატის თემში ბატონი კახა მიქაბერიძე.

შტრიხები პორტრეტისთვის:

კახა ნოდარის ძე მიქაბერიძე – დაიბადა 1969 წლის 7 ოქტომბერს. 1986 წელს დამთავრა ქარიატის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, რომელიც 1993 წელს დაამთავრა სწავლული აგრონომის კვალიფიკაციით.

1995 წელს დაინიშნა ქარიატის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილედ, 1997 წელს – დირექტორად. 2000 წელს აირჩიეს სათემო კავშირის თავმჯდომარედ, რომლის ფარგლებში მსოფლიო ბანკის გრანტების თანხებით სკოლას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი და აღიჭურვა ახალი ინვენტარით; მოხდა ბონდის ხიდის რეაბილიტირება. 2006-2010 წლებში იყო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. 2010 წელს დაინიშნა გამგებლის რწმუნებულად ქარიატის თემში.

ბატონო კახა, რომელი წლიდან ჩაუდექით სოფელს სათავეში და თქვენი ყოფნის პერიოდში რა გაკეთდა?

–ყველა სამუშაო მანამ, სანამ პრაქტიკაში გადაინაცვლებს, დეტალებში დამუშავებული, წინასწარ გათვლილი უნდა იყოს. ნაფიქრი უნდა გქონდეს სად გინდა მისვლა დღევანდელი წერტილიდან. როცა საქმე სოფელს ეხება, მხოლოდ საკუთარ თავს ვერ დაეყრდნობი, აუცილებლად უნდა იცოდე რა უნდა ხალხს, მოსახლეობას. სწორედ აქედან დავიწყე მუშაობა. შევხვდი სოფლის მოსახლეობას, როგორც ადგილობრივს, ისე დევნილებს, ინტელიგენციას, ყველა იმ ადამიანს, ვისაც სოფლის ცხოვრება აინტერესებს და კარგი, კეთილი რჩევის მოცემა შეუძლია. საბოლოო ჯამში შევჯერდით და საგანგებოდ შექმნილმა ჯგუფმა შეავიმუშავეთ სოფლის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც რა თქმა უნდა თანხვედრაშია ქვეყნის განვითარების გეგმასთან და რეალურად განხორციელებადია.

ვერ ვიტყვი, რომ 2010 წლიდან დღემდე სოფლის ყველა პრობლემას მივხედეთ, მაგრამ გარკვეული ნაწილი შეიძლება ითქვას მოგვარებულია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ის, რაც თვალის ერთი გადავლებით მახსენდება, არის გზის მოხრეშვითი სამუშაოები გამოღმა ქარიატაში, საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი და ახალი ინვენტარით აღჭურვა, სოფლის მიმანიშნებელი ტრაფარეტები, ხიდის განათება. სოფლის ცენტრში აშენდა ახალი მოსაცდელი, შეკეთდა ძლიერი ქარისაგან დაზიანებული ბონდის ხიდი. ჩატარდა ინდივიდუალური გამრიცხველიანება. განხორციელდა ნაპირსამაგრი სამუშაოები, რითაც სოფლის ერთ უბანს, კერძოდ სალოლუოს უბანს მოეხსნა წყალდიდობასთან დაკავშირებული პრობლემები.

მოსაცდელთან დაკავშირებით ხშირად მახსენდებიან ჩემი სოფლელები წვიმაში, ქარში, თოვლში ტრანსპორტის ხანგრძლივ მოლოდინში მხრებაწურულები და აბუზულები, დასველებულები... ამ პრობლემის მოგვარებაც პატარა, მაგრამ კარგი საქმე იყო.

გასული წლების, მსუბუქად რომ ვთქვათ, მძიმე პერიოდის შემდეგ სოფლის მოსახლეობისათვის დიდი შვებაა ამბულატორიის გახსნა. ის განთავსებულია ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე. მას უბნის ექიმი მაია ხუციშვილი ემსახურება, რომელსაც მთელი სოფელი ემადლიერება.

ამბულატორიას პრეზიდენტის გრანტით 2008 წელს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები. აღიჭურვა საჭირო ინვენტარით.

პირადად თქვენი ინიციატივით, თქვენი ძალისხმევით თუ გაკეთებულა სოფელში ისეთი რამ, რასაც თქვენი თანასოფლელების კმაყოფილება მოჰყოლია?

–პირადი ინიციატივითაც გაკეთებულა სოფელში საქმეები, მაგრამ ამისთვის მხოლოდ პირადი დამოკიდებულება არაა საკმარისი. უმეტეს შემთხვევაში საკმაოდ დიდი ფინანსებია საჭირო, რასაც საჯარო მოხელე იშვიათად გასწვდება. ასე ვიტყოდი: პირადი ინიციატივა განხორციელებულა ადგილობრივი თვითმმართველობისა თუ სხვადასხვა ორგანიზაციების თანადგომითა და დახმარებით.

ასევე, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო სოფლისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი, საპრეზიდენტო პროექტ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ შესახებ, რადგან ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოების უდიდესი ნაწილი აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. პროგრამის დადებით მხარეს წარმოადგენს ასევე ის ფაქტი, რომ მისი განსაზღვრა ხდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის პრიორიტეტული საკითხებით.

დღეის მდგომარეობით რას თვლით ყველაზე სერიოზულ პრობლემად?

ის, რაც ზემოთ ითქვა წინსვლასა და წარმატებებზე, სულაც არ ნიშნავს, რომ პრობლემები არაა. პირიქით, რაც მეტი კეთდება, სულ ახალ–ახალი მოთხოვნები იჩენს ხოლმე თავს. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც.

რამოდენიმეს ჩამოვთვლიდი: ერთ–ერთ მთავარ პრობლემას დასაქმება წარმოადგენს. სოფლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, ასე ვთქვათ, თვითდასაქმებულია საკუთარ ოჯახურ მეურნეობებში, რაც ჯერჯერობით მაღალრენტაბელური ვერაა, ამის მიზეზი რამდენიმეა და კიდევ ერთი პრობლემაც იკვეთება, ესაა სანიაღვრე არხების წყალგაუმტარობა. ისინი წლების განმავლობაში არ ამოწმენდილა, ფაქტიურად უფუნქციოა, რაც იწვევს სახნავი ფართობების დაჭაობებას. ამ პრობლემებს გვერდით უდგას ისევ მათთან დაკავშირებული ნაპირსამაგრი სამუშაოები. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია სასმელი წყლით უზრუნველყოფა.

ყველაფერი, რაც ვთქვით, ყველა ქართველმა იცის, მაგრამ ასევე ყველა გეტყვით, რომ 21–ე საუკუნეში უმთავრესი მაინც გზა და ხიდია. გამოღმა ქარიატის გზას თითქმის ყოველ წელს უტარდება მოხრეშვითი სამუშაოები, რაც ვერ იძლევა ხანგრძლივ ეფექტს, ამიტომ პრობლემა პრობლემადვე რჩება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ერთი სოფელი ორ ნაწილადაა გაყოფილი და დაკავშირების საშუალება – საფეხმავლო ბონდის ხიდი მუდმივად საფრთხის ქვეშაა. ხშირია შემთხვევა, როცა დაზიანებულია და ერთი სოფელი ორ ნაწილადაა დაყოფილი, ერთმანეთს მოწყვეტილია, რაც ხშირად სკოლაში სასწავლო პროცესის ჩაშლის მიზეზიც ხდება, თუმცა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით პრობლემა აღმოფხვრილა. მოსახლეობის ყველაზე დიდი სურვილი კი მყარ კონსტრუქციაზე შემდგარი ცალმხრივმოძრაობიანი ხიდის აშენებაა.

ბონდის ხიდი

მოსახლეობა მუდმივად გრძნობს ხელისუფლების მხარდაჭერას, რომელიც გამოიხატება როგორც საწვავით მინერალური სასუქებით დახმარებაში, ასევე პურის ფქვილით, ერთჯერადი დახმარებებით თუ ავადმყოფების საოპერაციო თანხით დაფინანსებაში. გარდა ამისა სტიქიით მიყენებული ზარალის შემთხვევაში, ადგილობრივი ხელისუფლება სისტემატურად ეხმარება მოსახლეობას როგორც საშენი მასალით, ასევე ფინანსურად, მიყენებული მატერიალური ზარალის საკომპენსაციოდ. სოფელში არის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 20 ოჯახი, ამათგან ფულადი დახმარების მიმღებია 9. გაწეულმა დახმარებებმა ასეთ ოჯახებს შესაძლებლობა მისცა პრობლემების გარკვეულწილად მოგვარებისა.

„თუ კაცი გონიერია, სოფელი ღონიერიაო“–უთქვამს ჩვენს წინაპარს. ვის გამოყოფდით თქვენს სოფელში?

–სოფელი გონიერი ადამიანების გარეშე ვერ იარსებებს. გონიერებაში ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ჭკვიან, მეურნე ადამიანს, რომელსაც შეუძლია თავსაც უპატრონოს და სოფელსაც მისცეს კარგი მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება საკუთარი გონიერების, შრომისმოყვარეობის, მუხლჩაუხრელი გარჯის შედეგად ოჯახის ყოჩაღად გაძღოლაც და სოფლის გვერდით დადგომაც. ასეთები ხშირად ახალგაზრდებიც არიან. ერთ–ერთი ასეთია დანიელ ბუალავა,–წარმატებული ფერმერი, რომელიც ყველა კეთილ საქმეში უყოყმანოდ დაგიდგება გვერდით და ბოლომდე გამოგყვება. არ მინდა უხერხულად ვიგრძნო თავი, ასეთები ჩემს თემში, საბედნიეროდ მრავლად არიან და, იმედია, უფრო მეტი იქნება სამომავლოდ.

როგორც ვიცი თქვენ ქარიატის მკვიდრი ბრძანდებით. რა პარალელებს გაავლებთ თქვენი ბავშვობის სოფელსა და დღევანდელობას შორის?

–ამ კითხვას ჩემთვის მონატრებისა და ბავშვობის წლების ნოსტალგიის სურნელი ასდის. ეს წლები ნებისმიერი ადამიანისთვის თბილად მოსაგონარია, მე აქ დაბადებულ-გაზრდილი ვარ და კარგად მესმის სოფლის მოსახლეობის ჭირ-ვარამი, მათი მაჯისცემა. ყველას გვახსოვს ის ავად მოსაგონარი პერიოდი, იყო უშუქობა, უგზოობა, სოფელი ფაქტიურად მოწყვეტილი იყო ქალაქს და უამრავი ასეთი მაგალითი, რომლის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თუმცა ეს ყველაფერი ჩვენი წარსულია, ცხოვრება გრძელდება, დღეს სოფელი ახალი სიცოცხლით ცხოვრობს და საბოლოო ჯამში ეს ცვლილებები პროგრესისკენაა მიმართული, ზღვარი პროვინციასა და ცენტრს შორის თითქმის წაშლილია. დღეს სოფლად ისეთ ახალგაზრდებს, ბავშვებს შეხვდებით, რომ ნათელი მომავლის იმედი კიდევ უფრო გიმძაფრდება.

გრძნობთ თუ არა ქარიატელების სიყვარულს და რას უსურვებთ მათ?

–ჩემი აზრით, ცოტა უხერხული კითხვაა, მაგრამ მაინც პასუხს მოითხოვს, თუნდაც საკუთარ თავთან დიალოგში. სიყვარულის თემა და აღიარება არაა ყოველთვის აუცილებელი, ამას უნდა გრძნობდე დამოკიდებულებით, ურთიერთობით. მე მგონი, ხმამაღალი ნათქვამი არ გამომივა თუ ვიტყვი, რომ სიყვარულსა და თანადგომას ჩემი სოფლელებისაგან ნამდვილად ვგრძნობ, რაც ძალიან სასიამოვნო და დიდი სტიმულის მომცემია.

8

სოფელი

7 <<<<<<<<

ვესაუბრებით საკრებულოს წევრს, მაჟორიტარ დეპუტატს ქარიატის თემიდან ბატონ *ბადრი ბერაიას.*

ცოტა რამ მისი ბიოგრაფიიდან:

დაიბადა 1959 წლის 26 ოქტომბერს სოფ. ქარიატაში. 1976 წელს დაამთავრა ქ.გაგრის №1 საშუალო სკოლა. 1978 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1984 წელს ინჟინერ–მშენებლის კვალიფიკაციით. 1985–95 წლებში მუშაობდა ხობის საკოლმეურნეო–სამშენებლო საბჭოში, ტრესტ „კოლხიდმშენის" საგზაო–სამშენებლო ორგანიზაციაში. 1995 წლიდან მუშაობს ქარიატის საჯარო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. 2010 წლიდან არის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

რას გვეტყვით სოფლის პრობლემებზე, რას წამოწევდით წინა პლანზე?

–სოფელში პრობლემა მრავლადაა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი მეტად აქტუალურია. დავასახელებდი გამოღმა ქარიატის გზას, ხიდსა და სასმელ წყალს. შუა ხორგის გადმოსახვევიდან ქარიატის ბოლომდე 9 კილომეტრია. ამ გზას მოხრეშვითი სამუშაოები უტარდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, რომელიც მხოლოდ დროებითია. ჩემი აზრით, ამ საქმისათვის აუცილებლად მისახედია და მჯერა ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ეს საკითხიც წარმატებით განხორციელდება და მალე სოფელს მყარ კარკასზე შემდგარი ხიდი ექნება.

რაც შეეხება წყალს, გამოღმა ქარიატაში არსებულ ჭაბურღილზე ჩატარდა სარემონტო–აღდგენითი სამუშაოები, მაგრამ სოფელს წყალი მაინც არ აქვს იმ მიზეზით, რომ გამრიცხველიანების შემდეგ წყალსაქაჩი დარჩა მრიცხველისა და ელექტროენერგიის გარეშე, ამ პრობლემის გადაწყვეტა კი გარკვეულ ხარჯებს მოითხოვს, რომელსაც მოსახლეობა ვერ გასწვდება. ვაპირებ ამ პრობლემის საკრებულოში დაყენებას. მჯერა, რომ დადებითად გადაწყდება.

როგორია თქვენი დამოკიდებულება სოფელთან?

_სოფლისადმი ჩემი დამოკიდებულება მარტივად და სრულად აისახა დეპუტატად არჩევის დროს. თანასოფლელების უმეტესობამ–85 პროცენტმა ნდობა გამომიცხადა. სიმართლე გითხრათ, ამდენს არ ველოდი. სასიამოვნოა, როცა შენი სჯერათ და ეიმედებათ. ყოველივე ეს კი უკან დახევის, პრობლემებზე თვალის დახუჭვის საშუალებას არ გაძლევს და მეც როგორც შემიძლია ვცდილობ.

როგორც ამ სოფლის მკვიდრი, რას გვეტყოდით?

–ზემოთ ნათქვამს დავამატებდი იმას, რომ სოფელში ცხოვრობს პატიოსანი, მშრომელი ხალხი. მათ კარგად იციან ავისა და კარგის გარჩევა, იციან ქვეყნის სატკივარი, მისი წარმატება და წინსვლა ძალიან უხარიათ. შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში მკლავები დაიკაპიწონ და ერთგულად აკეთონ საერთო საქმე. ეს არაერთხელ დაუმტკიცებიათ. ასეთი სოფლის მიმართ ყურადღება და მათ პრობლემებზე ზრუნვა აუცილებელი, საშური საქმეა.

ქარიატის საჯარო სკოლის ისტორია

მშვენიერი სოფელი „ქარიანტე"

ქარიატის სკოლის წარსული დაკავშირებულია სოფლის რელიგიურ ცხოვრებასთან. სოფლის მკვიდრს, თავადური წარმოშობის მდიდარ მემამულეს გვარად ჯაიანს XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში აუშენებია წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. ნაგებობა მუხის ხისა ყოფილა. მაშინ სოფელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა სკოლა და ეკლესია, გარდა მთავარი, პირდაპირი დანიშნულებისა, ხალხისთვის წერა-კითხვის სწავლებაც იტვირთა. გასაბჭოების შემდეგ ჯვარმოხსნილ და დანგრეულ ეკლესიათა რიცხვს ქარიატის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაც შეემატა. მისი ნაშალი ფიცრებით კომუნისტებმა სოფლისთვის ერთსართულიანი შვიდკლასიანი სკოლა ააშენეს, ხოლო საეკლესიო ქონება განადგურდა. აქვე მინდა აღვნიშნო ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი: ეკლესიის სამი ზარიდან ორი ღვთის განგებით შემოინახა, ერთი ისევ მამა გიორგის (ერობაში მალხაზ თელია) დიდი მონდომებითა და შრომით გახსნილ სოფლის სამლოცველოს დაუბრუნდა. 1971 წელს სკოლის ხის შენობა, ასე ვთქვათ, ნაეკლესიარი დაშალეს და მის ნაცვლად კაპიტალური სამსართულიანი შენობა ააგეს. მაშინ შვიდკლასიანი სკოლა საშუალოდ გადაკეთდა.

ქარიატის საჯარო სკოლა

ქარიატის საჯარო სკოლა, რომელიც თითქმის ორმოციოდე წელია რაც არსებობს მყარ ტრადიციებს ეფუძნება. არაერთი სახელოვანი ქართველი გამოუზრდია ამ სკოლას. სკოლა ძირითადად დაკომპლექტებულია ადგილობრივი კვალიფიციური კადრებით, რომლებიც ძალასა და ენერგიას არ იშურებენ იმისათვის რათა ახალ რეფორმებს ფეხი აუწყონ და სწავლება მ,აღალ დონეზე აწარმოონ. ვესაუბრებით ამ სკოლის დირექტორს ქალბატონ **მაია ალექსანდრიას**.

როდის და როგორ დაიწყო თქვენი მოღვაწეობა სკოლაში?

ამას უკვე ორი ათეული წლის ისტორია აქვს. 2012 წელს 20 წლის სტაჟი დამიგროვდა, თუმცა მგონია, რომ ყველაფერი უფრო ადრე დაიწყო, ჯერ კიდევ პატარაობიდან და ამის მთავარი მიზეზი პედაგოგი დედა იყო. ის იმდენად იყო და არის შეყვარებული საკუთარ პროფესიაზე, რომ ეს ბუნებრივად გადმომედო. დედა მასწავლებელი რომ არ ყოფილიყო, ალბათ ან სამედიცინოზე ჩავაბარებდი, ან არქიტექტურულზე. მგონია, რომ კარგად დავეუფლებოდი ამ პროფესიებს, მაგრამ ასე არ მოხდა. მუშაობა ჯერ კუთხე ნოჯიხევის საბაზო სკოლაში დავიწყე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. იქ დიდი ოჯახის დიასახლისივით დამხვდა და მიმიღო ქალბატონმა გიზელა ოკუჯავამ. პირველი ნაბიჯები თამამად გადამადგმევინა და გათამამებულმა ჩემს მშობლიურ ქ. ხობის №1 საჯარო სკოლაში გადმოვინაცვლე. დაოჯახების შემდეგ ქარიატის საჯარო სკოლაში გავაგრძელე მუშაობა პედაგოგად. დირექტორთა სასერთიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ კი 2007 წლიდან ვმუშაობ სკოლის დირექტორად.

სიახლეები, რაც გაკეთდა

–2006 წელს სკოლის შენობის ორ სართულს ჩაუტარდა სრული კაპიტალური რემონტი. აღიჭურვა ახალი ინვენტარით. აქედან გამომდინარე შეიცვალა სასკოლო სასწავლო გარემო, რაც, ბუნებრივია, სწავლა-სწავლების ხარისხზეც დადებითად აისახება.

სიახლეების თვალსაზრისით ჩვენი სკოლაც შეძლებისდაგვარად ფეხდაფეხ მიჰყვება იმ რეფორმებს, რომლებიც ზოგადად საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში ხდება. უკვე ჩვეულებრივი ყოფითი საკითხი გახდა ის, რომ ყველა სკოლა აღჭურვილია უახლესი კომპიუტერული ტექნიკით, უფასო ინტერნეტით, რომლითაც ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს შეუძლია ისარგებლოს და გაიღრმავოს ცოდნა, გაიფართოვოს ჰორიზონტი და წინ წაიწიოს.

ქარიატის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლეებმა 2011 წელს ჩათ- ის გამოცდები წარმატებით ჩააბარეს და მასზე გასულმა ყველა მოსწავლემ შეძლო ატესტატის აღება.

თითქოს უკვე გაცვეთილი გახდა ეს თემა სკოლისთვის, მაგრამ ჩვენი სკოლა იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც შეძლო კონკურსის გზით გრანტის მიღება და სახელობო განათლების (ავტოსაქმე) ჯერ პილოტირება და შემდგომში ერთ-ერთ სასკოლო დისციპლინად ქცევა საშუალო საფეხურზე. ვთვლი, რომ ეს პროექტი წარმატებული იყო სკოლისთვის.

სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ეროვნულ სასკოლო ოლიმპიადებში. აქვთ გარკვეული შედეგებიც. რა თქმა უნდა, მთავარი მიზანი ფინალში გასვლა და გამარჯვებაა, მაგრამ სოფლის სკოლის მოსწავლის ოლიმპიადის III საფეხურზე გასვლაც არაა ურიგო შედეგი.

სკოლის მასწავლებლები ინტენსიურად ემზადებიან სასერთიფიკაციო გამოცდებისათვის და ცდილობენ ფეხი აუწყონ რეფორმებს. რამდენიმეს ჩაბარებული აქვს თითო საგანი, თუმცა ეს ნამდვილად არ არის სასურველი და საუკეთესო შედეგი, მაგრამ იმედია, რომ უფრო მეტად წავიწევთ წინ.

მატერიალური ბაზის მხრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობითა და ადგილობრივი თვითმმართველობის დახმარებით სკოლაში არაერთი პრობლემა მოგვარებულა (კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახის რემონტი, ქარის მიერ გადახდილი სახურავის შეკეთება, საკლასო ოთახის რემონტი და სხვა).

არასამთავრობო ორგანიზაციამ ხობის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელს შემოგვთავაზა სოფლის პრიორიტეტულ პრობლემებზე გვემუშავა და გაგვეკეთებინა პროექტი იმ პრობლემის მოგვარებაზე, რომელსაც პრიორიტეტულად, ხოლო მის განხორციელებას რეალობად ჩავთვლიდით. სკოლის დირექტორმა და ქარიატის თემის რწმუნებულმა ბატონმა კახა მიქაბერიძემ ერთობლივად ვიმუშავეთ ამ შემოთავაზებაზე. გავაკეთეთ პროექტი სკოლის სპორტული მოედნების მოწყობაზე (ფრენბურთისა და კალათბურთის კომბინირებული მოედანი), რომელმაც გაიმარჯვა და უახლოეს ხანებში დაიწყება აღნიშნული პროექტის განხორციელება. მოგეხსენებათ, რომ დღეს ერთ-ერთი პრიორიტეტი სპორტის ახლებურად სწავლებაა. იმ სკოლისთვის კი, რომელსაც სპორტული დარბაზი არა აქვს, სპორტული მოედანი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამის მიღწევა კი, ჩემი აზრით, კარგი სიახლე და წარმატებაა.

სკოლისთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა სასმელი წყლის უქონლობა. გადავწყვიტეთ ეს საკითხი თავად მოვაგვაროთ. სკოლის ბიუჯეტიდან გამოიყო საჭირო თანხა, გაკეთდა პროექტი და გამოდარებისთანავე გაითხრება ჭაბურღილი, რომლის საშუალებითაც ეს საკითხი, თუნდაც ელემენტარულ დონეზე, გადაიჭრება.

ქარიატის საბავშვო ბაღი

გვაქვს პრობლემებიც, ჩვენი აქილევსის ქუსლი სველი წერტილების რეაბილიტაცია და სკოლის I სართულზე რამდენიმე ოთახის რემონტია. ადგილობრივი თვითმმართველობის დახმარების დიდი იმედი გვაქვს.

რას აპირებთ მომავალში?

–მარტივად გიპასუხებთ,–შრომას და იმ გამოწვევებისთვის ფეხის აწყობას, რასაც ახალი საგანმანათლებლო სისტემა გვთავაზობს.

საბავშვო ბაღი

სოფელ ქარიატაში პირველი საბავშვო ბაღი 1965 წელს გაიხსნა, რომელიც სოფელ ქარიატის კოლმეურნეობის ძველი კანტორის შენობაში განთავსდა. გამგე ლენა ბუკია, ხოლო აღმზრდელი მასწავლებელი მარგო ფოცხორაია იყო. აღნიშნულ პერიოდში საბჭოს თავმჯდომარეობდა ამირან ჭიჭინაძე წლების განმავლობაში აღნიშნული ბაღის გამგედ სხვადასხვა დროს უმუშავნიათ: ლამარა ხარბედიას, ლიზა დარასელიას, იზო შონიას. 1994 წელს საბავშვო ბაღი დროებით დაიხურა, შენობის ავარიული მდგომარეობის გამო, რომელიც 2000 წლის იანვრიდან გაიხსნა და განთავსდა სოფლის საკრებულოს ადმინსტრაციულ შენობაში. გამგედ იზო შონია დაინიშნა. 2000 წლის სექტემბრიდან დღემდე საბავშვო ბაღის მთავარი სპეციალისტია ნონა გიგიბერია. საბავშვო ბაღში ფუნქციონირებს ერთი შერეული ასაკის ჯგუფი, სადაც 28 ბავშვი ირიცხება. საბავშვო ბაღი ორ სოფელს–ქარიატასა და ყულევს ემსახურება. აღმზრდელი მასწავლებელია მირანდა ღურჯია, აღმზრდელის თანაშემწე ნანა ჩხაიძე, მზარეული ინგა ბერაია.

საბავშვო ბაღის მთავარი მიზანი იყო და არის ბავშვთა ჰარმონიული განვითარება და მათი სკოლისათვის მომზადება. ბაღში დროის შესაბამისად სხვადასხვა ზეიმები და კონკურსები ტარდება. გასულ სასწავლო წელს ბაღს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა.

P.S. გაგონილს ნანახი ჯობიაო უთქვამს ბრძენს, არ დაეთანხმო, ძნელია. ავად თუ კარგად ამ ულამაზესი სოფლის წარმოჩინება შევძელი. შევძელი ისე, როგორც ეს ჩემთვის იყო შესაძლებელი, შეფასება კი მკითხველისათვის მიმინდვია.

ნინო გერგაია.

ღვანლი

ნომრის რესპოდენტი ქალბატონი ***დოდო ჯორჯიკიაა****. ის შესანიშნავ, ღირსეულ ოჯახში აღიზარდა. მამა–ოთარ ჯორჯიკია ფინანსისტი გახლდათ, დედა–თებრონე (კუკური) ქორთუა პედაგოგი. ძმები–ჯონგული მათემატიკოსი იყო, რაული–ინჟინერი.*

სკოლის ასაკში, როგორც ყველა ახალგაზრდა, ისიც ოცნებების ფერადი ხალიჩით მეცხრე ცაზე დაფრინავდა. უთვალავ ოცნებათა შორის უნდოდა ჟურნალისტი გამხდარიყო, მიუხედავად მაღალი ქულების მოპოვებისა–მის ოცნებას სიცხადე არ ეღირსა...

ქალბატონმა დოდომ ნოჯიხევის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე გააგრძელა. პირველი პედაგოგიური ნათლობა ბიის საშუალო სკოლაში მიიღო. სამწლიანი მუშაობის შემდეგ ნოჯიხევის 8 წლიან სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ დაინიშა, შემდეგ კი, ამავე სკოლის დირექტორი გახდა, სადაც 23 წელი საფუძვლიანად, საგნის ღრმა ცოდნითა და გულმოდგინებით ასწავლიდა. იგი თავის გულის სითბოს უშურველად უნაწილებდა თავის აღსაზრდელებს. მინიჭებული აქვს პირველი კატეგორიის მასწავლებლის წოდება, მიღებული აქვს სიგელიც.

ოჯახი ხობელ ჯემალ შეროზიას დაუკავშირა. ერთად თანაცხოვრება მხოლოდ 10 წელი ერგოთ. მეუღლე მოურჩენელი სენით გარდაიცვალა და დარჩა ორ მცირეწლოვან შვილთან მარტო. მიუხედავად მწარე რეალობისა, არ ჩაუმუხლია, სულით არ დაცემულა, გარდა იმისა, რომ სადარდებელი ბევრი ჰქონდა, დიდ ოჯახს გაუძღვა და შვილები ღირსეულ პიროვნებებად აღზარდა, აკი დაუფასდა კიდეც, ჯემალი (ბეჟანი), რომელიც მამის სახელს ატარებს, სპეციალობით ხის დამუშავების ტექნოლოგია, ხოლო ნატაშა (ნატო) პედაგოგიკა ფსიქოლოგიის სპეციალისტი.

ყოფილი პედაგოგი დღეს თავის შვილიშვილებს მოძღვრავს, სახლშია და მათი ყოველდღიურობით ცხოვრობს. ახარებს მისი შვილების, შვილიშვილების და ახლობლების წინსვლა, ქვეყნის ნათელი მომავალი.

ამ დღეებში ვესტუმრე ქალბატონ დოდო ჯორჯიკიას და რამდენიმე კითხვით მივმართე.

„ქარს ადევნებული შემოდგომის ფოთლებივით მიქრიან წლები...“

სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში ბევრი საუცხოო სპეციალისტი გეყოლებოდათ, რომელმა პედაგოგმა შეიტანა ყველაზე დიდი წვლილი თქვენს მასწავლებლად ჩამოყალიბებაში?

–დიახ, როგორც სკოლაში, ასევე ინსტიტუტში ბევრი საუკეთესო სპეციალისტი მასწავლიდა. დავამთავრე ნოჯიხევის საშუალო სკოლა, რომელიც საკმაოდ ძლიერი კადრებით იყო დაკომპლექტებული.

არ შემიძლია დიდი სიყვარულით არ მოვიგონო ჩემი პირველი მასწავლებელი, ქალბატონი მარგო ალექსანდრია, რომელიც როგორც ცოდნით, ასევე მაღალი ადამიანური თვისებებით გამოირჩეოდა. როცა მასზე ვფიქრობ, თითქოს ახლაც ვგრძნობ მისი სათუთი და თბილი ხელების შეხებას, ვერ ვივიწყებ მის მოფერებას, გულშიჩამწვდომ დედაშვილურ სიტყვებს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული...

ჩემს მასწავლებლად ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა კლასის ხელმძღვანელის, ქალბატონ ძაბული პაპასკირის (ღმერთმა აცხონოს) მეთოდებმა, რომელსაც იგი ნერგავდა მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში და შესაშურ შედეგებსაც იმკიდა.

ჩემი მუშაობის პერიოდში, როცა მოსწავლე თავისი საქციელის გამო ჩემგან დატუქსვას მოელოდა, უცებ, ძაბული მასწავლებელი ამოტივტივდებოდა მეხსიერებაში, რაც სწრაფად მაცვლევინებდა ტონს. ასეთი დამოკიდებულებით აღმზრდელობით დარგში ყოველთვის სასურველი შედეგები მქონდა.

თქვენი პირველი დღე სამსახურში...

–დღევანდელ დღესავით მახსოვს ის დღე, როცა პირველად შევაღე საკლასო ოთახის კარი, ოცი წყვილი თვალი შემომცქეროდა, ბავშვებსაც და მეც პირველი შეხვედრის განცდა გვეუფლებოდა. სრულიად ახალგაზრდა–22 წლის ვიყავი, ხოლო ჩემი მოსწავლეები 17-18 წლისანი.

პირველი პედაგოგიური ნათლობა ბიის საშუალო სკოლაში მივიღე, სადაც დირექტორად ჩემი ძმა–ჯონგული მუშაობდა...

თქვენ უამრავი წელი იმუშავეთ პედაგოგად, დამსახურებული, სანიმუშო მასწავლებელი ხართ, დღესაც ყველა პატივს გცემთ და გაფასებთ, ამ წლების გამოცდილებით, რა მიგაჩნიათ მასწავლებლის მთავარ ღირსებად, როგორი უნდა იყოს პედაგოგი იმისათვის, რომ აღზრდილებს უყვარდეს?

–31 წელი ვემსახურე იმ კეთილშობილურ საქმეს, რასაც მოსწავლეებისადმი ჩემ მიერ ინერგავ-ინერგავ-ინერგავ-

ჯანმრთელობა

ხალხური რეცეპტები გაციების წინააღმდეგ

გაზაფხულზე ყოველთვის მატულობს გაციებისა და ვირუსული ინფექციების საფრთხე, ხარისხიანი მედიკამენტები კი ხშირად ხელმისაწვდომი არ არის. ამიტომაც რამდენიმე მარტივ ხალხურ რეცეპტს შემოგთავაზებთ.

ხველების დროს

გახეხეთ ხახვი, დაასხით 0,5 ლ ცხელი რძე და დააყოვნეთ. დალიეთ ნახევარი ძილის წინ, მეორე ნახევარი კი–დილით.

0,5 ლ ცხელ რძეს შეურიეთ 1 კვერცხი, დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი და ამდენივე ნაღების კარაქი. კარგად აურიეთ და დალიეთ ძილის წინ.

1 თავი ხახვი და 5-6 კბილი ნიორი წვრილად დაჭერით, ჩაყარეთ რძეში და ადუღეთ მანამ, სანამ ხახვი და ნიორი არ გაიხსნება. დაუმატეთ ცოტა პიტნა და თაფლი. გაფილტრეთ და მიიღეთ 1 სუფრის კოვზი ყოველ საათში ერთხელ დღის განმავლობაში.

სტაფილოს ან თალგამის წვენი შეურიეთ რძეს 1:1 თანაფარდობით. მიიღეთ 1 სუფრის კოვზი დღეში 6-ჯერ.

აურიეთ ერთმანეთში 2 სუფრის კოვზი ახალი რძე, 2 სუფრის კოვზი ნაღების კარაქი, 2 კვერცხის გული, 1 ჩაის კოვზი პურის ფქვილი და 2 ჩაის კოვზი თაფლი. დალიეთ 1 ჩაის კოვზი 3-4-ჯერ დღეში.

ანგინის დროს

რეკომენდებულია თბილი რძისა და მინერალური წყლის (გაზგასული) ნარევის დალევა.

სამკურნალო მცენარეები გრიპის წინააღმდეგ

გრიპით დასნებოვნების შემთხვევაში, პირველ რიგში, ექიმს უნდა მიმართოთ. ექიმის დანიშნულ მკურნალობასთან ერთად შეიძლება გამოიყენოთ ხალხური მეთოდებიც:

ასკილის ნაყენი–ასკილის გამხმარი ნაყოფი დააქუცმაცეთ და 5 სადილის კოვზს დაასხით 1 ლიტრი ცივი წყალი. 10 წუთს ადუღეთ, დააყოვნეთ 8-10 საათის განმავლობაში და გაფილტრეთ მარლაში. დალიეთ ყოველ 2-3 საათში ერთხელ რამდენიმე დღის განმავლობაში. შეგიძლიათ მიირთვათ თაფლით, შაქრით ან მურაბასთან ერთად. სასურველია, ნაყენი 1 კვირის განმავლობაში მიიღოთ, თან დოზა ნელ-ნელა შეამცირეთ.

ცაცხვი და ძახველი–მოამზადეთ ნარევი: ცაცხვის ყვავილი 1 წილი, ძახველის ნაყოფი 1 წილი. ნარევის 2 სადილის კოვზს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე, ადუღეთ 5-10 წუთით, გაფილტრეთ, დალიეთ ცხელი 1-2 ჭიქა ღამით.

ჟოლო ჩვეულებრივი–გამოიყენება როგორც სხვა სამკურნალო ბალახებთან, ასევე მარტო. შაქრიანი ჟოლოს წვენი კარგია მაღალი სიცხის დროს. გამხმარი ნაყოფის ნაყენი შეგიძლიათ ასე მოამზადოთ: 1 სადილის კოვზ დაქუცმაცებულ ჟოლოს დაასხით 1 ჭიქა ადუღებული წყალი და დააყოვნეთ 20 წუთი. ცხელი ნაყენი თითო ჭიქა დღეში 2-ჯერ მიირთვით.

ჟოლო თაფლით–1 სადილის კოვზი თაფლი, 1 სადილის კოვზი ჟოლო, 1 სადილის კოვზი მოცხარი აურიეთ, დაასხით 100 მლ მდუღარე, დააყოვნეთ 15 წუთი. დალიეთ 3-ჯერ დღეში 1-2 ჭიქა ჭამის წინ.

დინდგელი (პროპოლისი)–2 მარცვალი მუხუდოს ზომის დინდგელის ნაჭერი მუდმივად გედოთ პირში და ღეჭეთ. შეგიძლიათ ამ მიზნით დინდგელის სპირტხსნარით გაჟღენთილი შაქრის ნატეხიც გამოიყენოთ.

რძე–უნივერსალური პროდუქტი

რძე არა მხოლოდ სასარგებლო საკვები, შეიძლება ითქვას წამალიცაა, რადგან იგი არაფრით ჩამოუვარდება პრეპარატებს და კოსმეტიკურ საშუალებებსაც შეიძლება გაუწიოს სერიოზული კონკურენცია. გარდა პირდაპირი დანიშნულებისა ვნახოთ, როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს საოცარი სითხე:

თუკი კოსმეტიკამ, ლინზებმა, ინფექციამ ან მტვერმა შეგაწუხათ და თვალები გაგიღიზიანათ შეგიძლიათ რძით ამოიბანოთ. რძეს ანთების საწინააღმდეგო და მადეზინფიცირებელი თვისებები აქვს.

თუკი კომპიუტერთან მუშაობისას თვალები დაგეღალათ, ბამბის ორი ფთილა გრილი წყლით დაასველეთ და მცირე ხნით დაიდეთ. რძიანი საფენი აცხრობს შეშუპებულ ქუთუთოებსა და თვალების ქვემოთ ჩამოკიდებულ ტომრებს.

თაკარა სიცხეში რძე იმავე რაოდენობის წყლით გააზავეთ და დალიეთ, წყურვილი იშვიათად შეგაწუხებთ.

თუკი ძილის წინ შიმშილმა კუჭი აგიწრიალათ, დალიეთ ჭიქა რძე. იგი შეაფერხებს კუჭის წვენის გამოყოფას და არც ზედმეტი კილოგრამებით დაგამძიმებთ.

თუკი სლოკინმა შეგაწუხათ, ნელა-ნელა, ყლუპობით დალიეთ ერთი ჭიქა ცივი რძე.

თუკი მარწყვის ან ჟოლოს გამო ალერგია გაგივითარდათ. დაუყოვნებლივ დალიეთ ერთი ჭიქა ცივი რძე.

ეს პროდუქტი თმის ბალზამის მაგივრობასაც გაგიწევთ. დაბანილ თავზე რძე გადაივლეთ, 15 წუთი გაიჩერეთ და თბილი წყლით ჩამოიბანეთ. რძე თმას აბრეშუმისებრ ბრწყინვალებას შემატებს.

რძეს დიდი წარმატებით იყენებენ კოსმეტიკაში. ნივთიერებები, რომლებსაც იგი შეიცავს, სწრაფად აღადგენს სახის კანის დაზიანებულ ქსოვილს, ხავერდოვნებასა და სინორჩეს სძენს მას.

თეთრი პური მომცრო ნაჭრებათ დაჭერით და ქაღალდის პაკეტით მაცივარში შეინახეთ. ყოველდღიურად აიღეთ ორი ნაჭერი, დაასველეთ თბილ რძეში და 20 წუთით დაიდეთ თვალებზე. ეს საუკეთესო გზაა თვალების ირგვლივ გაჩენილი ნაოჭების გასასწორებლად. კარგი იქნება ამგვარ საფენებს ერთი თვის განმავლობაში პროფილაქტიკის მიზნითაც გამოიყენებთ.

მომცრო ჭიქაში ჩაყარეთ ორი სუფრის კოვზი ფქვილი და იმდენი თბილი რძე დაასხით, რომ არაუნისმაგვარი მასა მიიღოთ. წაისვით იგი სახეზე, გაიჩერეთ სანამ გაშრობას დაიწყებს და ჩამოიბანეთ. ეს ნიღაბი შესანიშნავად კვებავს და ჭიმავს კანს, აქრობს წვრილ ნაოჭებს. ორი კვირის მანძილზე ყოველდღიურად ჩამოიბანეთ სახე რძით, 15 წუთის შემდეგ კი წყლით. ზუსტად ორ კვირაში საუცხოო ეფექტს მიიღებთ: კანი ახალშობილივით ხავერდოვანი გაგიხდებათ.

მშრალი კანი დროდადრო წყალგარეული თბილი რძით დაიბანეთ.

კომბოსტო, თევზი და ნიგოზი სიმსივნისაგან დაგიცავთ

ამერიკელმა დიეტოლოგებმა დაასახელეს შვიდი პროდუქტი, რომლებიც უნდა მიიღოს ქალმა ხანდაზმულ ასაკში, ყველაზე გავრცელებული დაავადებების - ოსტეოპოროზის, გულის დაავადებების, ძუძუს კიბოს და კლიმაქსის პერიოდში უსიამოვნო შეგრძნებების თავიდან აცილების მიზნით.

1. პომიდორი „ჩერი“. იგი მდიდარია ლიკოპინით, ამცირებს ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოსა და გულის დაავადებების განვითარების რისკს.

2. სელის ზეთი, რომელიც შეიცავს ომეგა-3 ცხიმოვან მჟავებს და უჯრედისის შემადგენლობაში შემავალ ლიგნინს, აქვეითებს დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების ქოლესტერინის–ანუ ე.წ. „ცუდი“ ქოლესტერინის დონეს. მეიოს კლინიკის ექსპერტების მიერ ჩატარებული კლინიკური კვლევების შედეგების მიხედვით, 40 გრამი ამ პროდუქტის მიღება ქალებს კლიმაქტერულ პერიოდში „ალებს“ ააცილებს თავიდან და ასევე შეამცირებს ძუძუს კიბოთი დაავადების რისკს. ორსულობის დროს ამ პროდუქტის მიღება არ არის რეკომენდებული.

3. კომბოსტოს ფოთლები შეიცავს უამრავ სასარგებლო ნივთიერებას. მასში შემავალი ციანა–ლუთეინი ქალს ეხმარება კარგი მხედველობის შენარჩუნებაში.

4. ზუთხის, თართის, ორაგულის გამოყენება საკვებში ქალებს დაიცავს მშობიარობის შემდგომი დეპრესიისგან, გაუძლიერებს ნერვულ სისტემას, აუმაღლებს ესტროგენის დონეს, რომელიც მნიშვნელოვნად იკლებს 40 წლის შემდეგ.

5. შტოშის წვენი, რომელიც მდიდარია C ვიტამინით და ანტიოქსიდანტებით, ქალებს, გარდა იმუნიტეტის გაძლიერებისა, დაეხმარება საშარდე გზების ინფექციების თავიდან აცილებაში.

6. ბერძნული იოგურტი, რომელიც მზადდება ცხვრის რძისაგან, მდიდარია ცილით და ნაკლები რაოდენობით შეიცავს შაქარს, ამცირებს დიაბეტით ავადობის რისკს; ასევე აუმჯობესებს კუნთოვანი ქსოვილების ტურგორს (ტონუსს) და ანელებს დაბერების პროცესს.

7. ნიგოზი ამცირებს სარძევე ჯირკვლების სიმსივნური დაავადებებისა და ოსტეოპოროზის განვითარების რისკს. მეცნიერებმა ბოლო დროს ჩატარებული კვლევების საფუძველზე დაადგინეს, რომ დღეში 50 გრამი ნიგოზის მიღება აფერხებს სიმსივნური უჯრედების ზრდას, აგრეთვე, ეხმარება ორგანიზმს ძვლების სიმტკიცის შენარჩუნებასა და გამოჯანმრთელებაში.

შური აქვეითებს იმუნიტეტს

შურიანი ადამიანები უფრო ხშირად არიან სტრესის მსხვერპლნი. განსაკუთრებით ეს ეხება იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთ მატერიალურ მდგომარეობას გამუდმებით აფასებენ სხვებთან შედარებით. დასავლეთელმა სპეციალისტებმა ჩაატარეს გამოკითხვა სხვადასხვა ევროპული ქვეყნის 34 ათას მცხოვრებთან. აღმოჩნდა, რომ ოთხიდან სამი რესპოდენტი მუდმივად ადარებს თავის შემოსავალს მეგობრების, ნათესავების და თანამშრომლების შემოსავლებს. სწორედ ეს ადამიანები არიან სტრესისა და დეპრესიის იოლი სამიზნეები. განსაკუთრებულად უბედურად გრძნობენ თავს ისინი, ვინც მეგობრების შემოსავალს ადარებს საკუთარს. ისიც გაირკვა, რომ საშუალო ასაკის ადამიანები უფრო ხშირად ინტერესდებიან სხვათა საოჯახო ბიუჯეტით, ვიდრე ახალგაზრდები. იმის შეცნობა, რომ ვიღაც შენზე მეტ ჯამაგირს იღებს, იწვევს შურს, რასაც მოსდევს დეპრესია და სტრესისადმი წინააღმდეგობის დაქვეითება, რაც ნიშნავს სწორედ იმუნიტეტის დაქვეითებას.

მარგარის ჩირი ნაოჭებისაგან დაგიცავთ

გარგარის ჩირის მთავარი სიმდიდრე კალიუმის სიუხვეა. ეს მიკროელემენტი სასარგებლოა მათთვის, ვისაც გულისა და სისხლძარღვების პრობლემები აწუხებს.

კალიუმი აცხრობს შეშუპებას, აწესრიგებს გულის კუნთის მუშაობას, ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს. კალიუმის გარდა, გარგარის ჩირი მდიდარია F ვიტამინით, რომელიც აუცილებელია კარგი მხედველობისთვის, კანისა და ლორწოვანი გარსის სიჯანსაღისთვის, ნაადრევი ნაოჭების პროფილაქტიკისთვის.

ის ასევე შეიცავს B ჯგუფის ვიტამინებსა და რკინას. პირველი პასუხს აგებს ნერვული სისტემის სიმშვიდეზე, შესაბამისად, იცავს დეპრესიისა და უძილობისგან. რკინა კი აუმჯობესებს სახის ფერს და ამაღლებს ორგანიზმის ტონუსს.

გარგარის ჩირის, ეგრეთ წოდებული კურაგის შერჩევისას მკვეთრი ნარინჯისფერი ნაყოფით ნუ მოიხიბლებით. ეს მაცდური სილამაზე იმაზე მეტყველებს, რომ ის კონსერვაციისთვის გოგირდითაა დამუშავებული. მართალია, ჯანმრთელობისთვის ეს უვნებელია, მაგრამ ამგვარი დამუშავებისას ჩირი ბ1 ვიტამინის ნახევარს კარგავს. ამიტომ უმჯობესია, სამკურნალოდ მუქი ნარინჯისფერი ან მოყავისფრო კურაგა შეარჩიოთ.

ძალადობა ბოროტებაა

თითოეული ადამიანი ან ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, სხვადასხვაგვარად უყურებენ ცხოვრებას და ცხოვრებისეულ სიძნელეებს. ყოველი ჩვენთაგანი დაბადებიდან დღემდე, განსაზღვრული ცხოვრების განსაკუთრებული წესით ცხოვრობს. სკანდინავიაზე მაცხოვრებელ და სამეგრელოში მცხოვრებ ადამიანებს სრულიად განსხვავებული ცხოვრების წესი და გამოცდილება აქვთ, მათ სხვადასხვანაირად წარმოუდგენიათ სამყარო და ამ სამყაროში თავიანთი ადგილი. გარდა ამისა, ყოველ ჩვენთაგანს აქვს საკუთარი ფასეულობები, რომლებიც წარმართავენ ჩვენს აზროვნებას და ქცევას. ამდენად, ბუნებრივია, სხვასთან თანაცხოვრებისას ან ერთობლივი მუშაობისას თავს იჩენს ჩვენი განსხვავებული შეხედულებები სხვადასხვა საკითხებზე აღნიშნული კი იწვევს კონფლიქტებს და ძალადობას.

კონფლიქტი–ურთიერთმიმართებაა ორ ან ორზე მეტ ისეთ მხარეს შორის, რომელთაც აქვთ ან ფიქრობენ, რომ აქვთ ურთიერთშეუთავსებელი მიზნები.

ძალადობა კი მოიცავს ქმედებებს, სიტყვებს, ურთიერთგანწყობებს, სტუქტურებს, რომელთაც ადამიანებისთვის სოციალური ზიანი მოაქვს. საარსებო გარემოს განადგურება ან ადამიანის საკუთარი პოტენციალის სრული რეალიზაცისთვის ხელის შეშლას თუ სიღრმისეულად განვიხილავთ შეეხება უხილავ, მენტალურ პროცესებს, გრძნობებს, განწყობილებებსა და ღირებულებებს.

დღეს, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, საზოგადოება, აგრესიულ გარემოში ცხოვრებას თანდათანობით შეგუებული და ძალადობის, როგორც პრობლემის დაძლევის თვალსაზრისით, გულგრილი და შეგუებული გახდა. დღეს, როგორც ამბობენ, დიდად არ ფასობს ადამიანის, პიროვნების ღირსება.

კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებით ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა საქართველოში არ აღიქმება საგანგაშოდ, მაგრამ ძალადობის პრობლემა მაინც აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და აქტუალური. სწორედ, ძალადობის წინააღმდეგაა მიმართული საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 25 მაისს მიღებული კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, რომლის მიზანია ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარებით მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის ეფექტური საკანონმდებლო მექანიზმების შექმნა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სისტემის შექმნა, ოჯახში ძალადობის მხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შექმნა.

თითოეულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის წევრის მიერ, მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

ძალადობრივი ქმედებებია–ცემა, წამება, შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, სექსუალური კავშირი ძალადობით, იძულება და ა.შ.

ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლის სამართლებრივი, სამოქალაქო–სამართლებრივი და ადმინისტრაციულ–სამართლებრივი მექანიზმები. მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად დროებითი ღონისძიების სახით უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია გამოსცეს დამცავი ან შემაკავებელი ორდერი.

დამცავი ორდერი არის სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. იგი გამოიცემა 3 თვემდე ვადით და მოქმედების კონკრეტულ ვადას სასამართლო განსაზღვრავს.

შემაკავებელი ორდერი–არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად სასამართლოს წარედგინება.

საზოგადოების დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები ხელს უწყობს ოჯახში ძალადობრივი ურთიერთობების წარმოშობასა და შენარჩუნებას. უნდა დავიმახსოვროთ, რომ ოჯახური ძალადობა გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ბავშვებს, რომლებიც მთელი ამ პროცესის თანამონაწილენი არიან და განიცდიან მას.

ამ ბოლო პერიოდში საინფორმაციო საშუალებებით ვღებულობთ ინფორმაციებს გახშირებული ოჯახური ძალადობის შესახებ, რომლებიც შეიძლება ძალზე ფატალურად დამთავრდეს. სანამ ეს უკანასკნელი მოხდება, საჭიროა ამ პრობლემის შესწავლა და ადრეულ ფაზაში მისი დაძლევა.

ამ პროცესს აძნელებს ის, რომ ხშირად საზოგადოების, ნათესაობის, ოჯახის წევრთა და თავად მსხვერპლთა მიერაც კი ძალადობა, როგორც დანაშაული, მათ მიერ არ აღიქმება.

ოჯახში ჩადენილი ძალადობა არის არა ერთი კერძო ადამიანის, ან ოჯახის დრამა, არამედ უფრო სერიოზული დანაშაული უმძიმესი სოციალური შედეგებით. მისი გავრცელების არეალი სცილდება ერთი ოჯახის არეალის ფარგლებს და მასთან ბრძოლა დროული, საჭირო და ყველას ძალისხმევის გარეშე შეუძლებელია.

მანანა შულაია.

სულთათანა

ლეილა წოწონავა

მართლაც რა სწრაფად გადის დრო, არადა, თითქოს გუშინ იყო... 5 წელი გავიდა იმ დღიდან რაც ჩვენგან წახვედით, მაგრამ ის სიყვარული და მონატრება, რასაც თქვენდამი ვგრძნობთ, ჩვენში წამითაც არ განელებულა. ძალიან გვენატრებით და გვიყვარხართ... ყოველთვის გიხსენებთ კეთილს, თბილს, სიცოცხლისადმი წყურვილით სავსეს... თუმცა, არ დაგცალდათ შვილების, შვილიშვილებისა და ახლობლების კეთილდღეობით გეხარათ... სიკვდილმა დაგსუსხათ და წაგაქციათ უკეთილშობილესი და ზნემაღალი ადამიანი. ბევრი აუსრულებელი ოცნება და ჩანაფიქრი დაგრჩათ განუხორციელებელი...

ჩვენ, რედაქციელები, ხშირად მოვდივართ თქვენს საფლავზე, ყვავილებით ვამკობთ იქაურობას, გინთებთ სანთლებს, ვეფერებით და ვეამბორებით თქვენს სურათს... ჩვენ არასოდეს დაგივიწყებთ, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ თქვენი სურათი რედაქციის თითქმის ყველა ოთახს ამშვენებს, ხშირად ვიხსენებთ თქვენს იუმორს, სტატიებს, რომლებიც მაღალპროფესიულ დონეზეა დაწერილი, ხშირად ჩვენს გაზეთს თქვენეული კალამი აკლია, თითოეულ ჩვენთაგანს, ჩვენს ოჯახებს კი თქვენეული სითბო და სიყვარული.

ლეილა დეიდა, 8 მაისს 60 წელი შეგისრულდებოდათ... გილოცავთ და უფალს ვთხოვთ, გაგინათოთ ცათა სასუფეველი.

გვიყვარხართ, გვენატრებით, არასოდეს დაგივიწყებთ.

ნანა კემულარია.

ნათელა შარიქაძე–ჯოლოგუა

კიდევ ერთხელ გაგვახსენა მტკივნეულად თავი ულმობელმა სიკვდილმა. გარდაიცვალა ნათელა შარიქაძე–ჯოლოგუა, შესანიშნავი სპეციალისტი, მეგობარი, დედა, თანამშრომელი...

დაიბადა ქ. ხაშურში, ობლობაში გაზრდილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი წარმატებით დაამთავრა. ერთხანს, ვიდრე ქალაქელთა რძალი გახდებოდა, მშობლიურ ქალაქში ეკონომისტად იმუშავა.

შემდეგ კი თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა კეთილსინდისიერებით გამორჩეულ ახალგაზრდას ნუგზარ ჯოლოგუას და თავისი ქცევით, კეთილგონიერებით, მაღალი პროფესიონალიზმით მალევე დაიმკვიდრა საპატიო ადგილი საზოგადოებაში, შეავსო ხობელ ინტელიგენტთა რიგები...

ჯერ იყო და რაიონის საფინანსო განყოფილებაში მუშაობდა ფინანსისტად, შემდგომ სოფლის მეურნეობის სამმართველოს ეკონომისტად, ერთხანს გამგეობის თანამშრომელიც იყო. ყველგან, სადაც კი იმუშავა, კეთილი კვალი დატოვა. თავად უკეთილშობილესმა სიკეთე თესა, გამორჩეული თვისებები–კეთილსინდისიერება, სხვათა მზრუნველობა, ჭირსა და ლხინში თანადგომა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. ასე ზრდიდა თავის ორ შვილს–ვერიკოსა და დათოს. ამასვე უნერგავდა ულამაზეს და ჭკვიან შვილიშვილ მარიამს, რძალ ნანო ცხადაიას.

ნათელა შარიქაძე თანამშრომლების, მეზობლების და ახლობლების სიყვარულით გარემოსილი იყო, სიცოცხლის ბოლომდე აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა... ამიტომაც არის მისი ამ ქვეყნიდან წასვლა ასე გულდასაწყვეტი. ამიტომაც გააცილა იგი უკანასკნელ გზაზე ცრემლებითა და გულისტკივილით უამრავმა ადამიანმა.

იძინე მშვიდად ჩვენო ნათელა! შენი ოჯახი და ჩვენ, შენი მეგობრები, ვიამაყებთ, რომ ასეთი განათლებული, წიგნიერი, მშვიდი, გაწონასწორებული მეგობარი გვყავდა!

გულისტკივილით გემშვიდობებით და უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

მეგობრები.

ნაგი ბეჭვაია



ჩვენო სანუკვარო, სანატრელო დედა! რა სწრაფად გაირბინა დარდითა და ტკივილით აღსავსე დღეებმა. უკვე ორმოცი დღე მიილია, რაც ამ წუთისოფლიდან მარადიულ სასუფეველში გადასახლდი.

სამ წელზე მეტმა განვლო, რაც მხცოვანი მამა გარდაგვეცვალა. მას ვგლოვობდით, უსაშველოდ განვიცდიდი მამით დაობლებას. ახლა კი, შენდა უნებურად უსაშველოდ დასნეულებული, ტკივილებისაგან დატანჯული, მიუხედავად ჩვენი ყოველგვარი მცდელობისა, ულმობელმა სიკვდილმა მამასთან შეგახვედრა.

აკი, ნატრობდი მის გარეშე დარჩენილი, ჩქარა გაჰყოლოდი ძვირფასი თანამეცხედრის გზას.

ნუთუ არ გებრალებოდით თქვენი საფიცარი შვილები?

თენგიზი ხომ შენს სარეცელს წამიერად არ მოსცილებია, შენთვის მუდამ სანატრელი, უცხოეთში მცხოვრები, მაგრამ ჩვენთან ხშირად მყოფი, მშობლებზე, ახლობლებზე თავგადაკლული ვაჟი ბორისი, ყოველნაირად შეეცადა პროფესიონალი მედიკოსების დახმარებით თქვენთვის სიცოცხლის გახანგრძლივებას, მაგრამ უშედეგოდ. ალბათ მთელი ცხოვრება ნაჯაფ მოხუცებს ასაკთა სიმრავლემ დაგაღალატათ.

ზუგდიდის რაიონში, ნარაზენში დაიბადე დედა. შეუდარებელი სილამაზის ქალიშვილმა მამის გვერდიგვერდ ცხოვრების ყველა სირთულე დასძლიეთ. მუხლჩაუქრელი შრომით სიღარიბე დასჯაბნეთ. სამივე შვილი კეთილსინდისიერად აღზარდეთ. წესიერება და კაცთმოყვარეობა დაანათლეთ მათ.

თქვენს რჩეულ რძალს, ნანას სტუდენტობის პერიოდში მზრუნველობა არ მოაკელით. სანუკვარი შვილიშვილების, მარიკას და გიორგის აღზრდა თავად იკისრეთ.

გიგუშა იოსავას ოჯახის გულუხვი მასპინძლობა ყველას ახსოვს. გასხივოსნებული სახით ხვდებოდით სახლის ზღურბლზე ფეხშემოდგმულ სტუმარს. დინჯად, ტკბილად მოუბარი ოჯახის თავკაცს, ხელმაღლიანი დიასახლისი უმშვენებდით გვერდს. დღესასწაულებზე ყველა შვილიშვილი გსტუმრობდათ. ფეხადგმული შვილთაშვილები ლილიკო და ნიკოლოზი ხმაურით იკლებდნენ თქვენს წალკოტ ეზო-გარემოს.

როგორ ვნატრობდით, რომ მარადიული ყოფილიყო მშობლების გარმოცვაში ცხოვრება

ქალიშვილ მარინას მწარე მოთქმა და ცხარე ცრემლები თქვენს ახალ ადგილსამყოფელს არ მოკლებია, შორეული ამერიკიდან თქვენი გიორგი დაგტირით. ის თავის ვაჟკაცს თქვენეულად ზრდის. სახელოვანი შვილიშვილები სინანულით შეჰყურებენ საფლავის ცივ ქვაზე გამოსახულ თქვენს ძვირფას სახეებს.

მწარე სინამდვილეს ვერ გავექცევით. თქვენი მონაგარი გაგრძელებს ოჯახის სახელოვან ტრადიციებს.

სტუმარი არ მოკლებოდეს გიგუშა იოსავას შთამომავლობას.

მშვიდად განისვენეთ.

ოჯახი

ვილენ ბერაია

შვილო, ვილენ! დღეს შენი დაბადების დღეა. დღე, რომელიც ქვეყანას მერჩივნა. მაგრამ იგი ახლა ჩემთვის ძალზე მტკივნეულია, ეს დღეა შენი ხსოვნისა, არადა როგორ მინდა ახლოს მყავდე და დაბადების დღე ცოცხალს მოგილოცო. ამ დღეს შორიდან გილოცავ ჩემო შვილო, შენს მაყვალასთან ერთად. ჩვენ, უშენოდ დარჩენილებს, შორიდან მოფერება და სიყვარული შეგვრჩენია მხოლოდ. გვიყვარხარ შვილო, გეფერები და გკოცნი, როგორც პატარა შვილს.

ვილენ, როგორ მინდა ჩვენთან იყო, მაგრამ ვიცი, ეს ყველაფერი ნატვრაა, აუხდენელი ოცნება.

გვენატრები შვილო და სიყვარულით გილოცავთ ამ დღეს!

ნათელში იყავი ვილენ, შენი სული ღმერთისთვის მიმინდვია.

მჯერა, ჩვენს მიერ ანთებული წმინდა სანთლები სასუფეველს გაგინათებს!

დედა მერი ბერაია.

მაია ცქირია, მზია გადელია და გულისა წოწონავა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ნოჯიხევის №1 საბავშვო ბაღის თანამშრომელი

ნინო ალანია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შ.პ.ს „ხობი დასუფთავება–განათების“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვალერიან (ვალერი) ჭედია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

პროექტი

„ქალები ქალებისათვის“

ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია „გაენათმა“ კულტურის სახლის მცირე დარბაზში მოაწყო ტრენინგი თემაზე, თუ როგორ უნდა წარვადგინოთ ქსივი ამა თუ იმ დაწესებულებაში.

„გაენათი“ არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 2002 წელს ქალთა ჯგუფის მიერ შეიქმნა. ორგანიზაციის მისიაა დასავლეთ საქართველოში ქალთა როლისა და მნიშვნელობის გაძლიერება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში, განათლებისა და რეაბილიტაციის გზით. ორგანიზაციის ხედვაა, საზოგადოება, სადაც გენდერული თანასწორობა დომინირებს და ქალთა უფლებები დაცულია.

ორგანიზაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი ქალბატონი ნესტან კობახიძე დამსწრე საზოგადოებას ესაუბარა იმ პროექტების შესახებ, რომელიც ამ ორგანიზაციამ ამ ხნის მანძილზე განახორციელა. როგორც საუბარში თავად განმარტა, პროექტის ბენეფიციარებს წარმოადგენენ ოჯახური და სხვა სახის ძალადობის მსხვერპლი ქალები, ბავშვები, იძულებით გადაადგილებული პირები.

ეს ორგანიზაცია ხელს უწყობს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში. ქალთა როლის საზოგადოებაში გაძლიერებას. პროექტის გავრცელების არეალს სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონი წარმოადგენს.

მსგავსი ტიპის შეხვედრები ახლო მომავალშიც ჩატარდება.

ფერადი ქაღალდების ფანტაზია

ხობის №1 საბავშვო ბაგა-ბაღში მისულთ ლამაზი სანახაობა დაგვხვდა. „ფერადი ქაღალდების ფანტაზია“–ასე უწოდეს საბავშვო ბაღის თანამშრომლებმა გამოფენას. როგორც ბაღის მთავარმა სპეციალისტმა, გვითხრა, იდეა ერთ-ერთი აღსაზრდელის მშობლიდან სოფო თევზაძისგან წამოვიდა, რომელმაც ორიგამში დამზადებული ულამაზესი ყვავილები ბაღში აღმზრდელს მოუტანა. აღმზრდელმა ირმა ხურცილავამ კი ამ ყოველივეს სხვა აღმზრდელებთან და მშობლებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად ფრთები შეასხა და ეს ლამაზი კომპოზიციებიც შეიქმნა. ულამაზესი ლილიები თუ კალები, რომლებიც ჯეჯილში იყვნენ მიმობნეულები, ქოთანი ნარცისებით, ფერადი მუყაოს ქაღალდებისაგან გაკეთებული ფარშევანგი, გედები, პალმა, კვერცხის კონტეინერისაგან დამზადებული ვარდის კოკრები, საათი, და უამრავი თვალისმომჭრელი სანახაობა, რომელიც ვფიქრობ, დიდ შრომასა და რუდუნებას მოითხოვდა, ამისათვის კი დიდი მადლობა თითოეულ იმ ადამიანს, ვინც ამ სანახაობის მოწმენი გაგვხადა. სანახაობით აღტაცებული წამოსვლისათვის ვემზადებოდი, როცა ჩემი ყურადღება კედელზე გაკრულმა ულამაზესმა პანომ მიიპყრო. პანოც გაზაფხულის მობრძანებას გვაუწყებდა და ფერად-ფერადი ნაჭრებისაგან იყო დამზადებული. ეს ნამუშევარი კი როგორც გავიგე, საბავშვო ბაგა-ბაღის მთავარი სპეციალისტის ქალბატონ მარინა შონიას შესრულებული გახლდათ.

იმედია, მსგავსი ნამუშევრებით და ახალი ინოვაციებით ეს ბაღი კიდევ ბევრჯერ გაგვაკვირვებს.

ნინო გერგაია.

სპორტი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

რომან გულიაშვილის ხსოვნას მიეძღვნა

ქ. ხობის ჭიდაობის სპორტდარბაზში ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა პირველობა ჩატარდა, რომელიც ხობის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის ყოფილი მწვრთნელის, საგვიჩიოს საჯარო სკოლის ყოფილ დირექტორის რომან გულიაშვილის ხსოვნას მიეძღვნა.

წონითი კატეგორიების მიხედვით პრიზიორები და ჩემპიონები გახდნენ:

29 კგ. წონით კატეგორიაში

ლუკა გულუა (ხობის №1 საჯარო სკოლა); საბა ბუკია (ხობის №2 საჯარო სკოლა); გიორგი ჭანტურია (საჯიჯაოს საჯარო სკოლა).

32 კგ. წონით კატეგორიაში

ნუგზარ წურწუმია (ნოჯიხევის საჯარო სკოლა); მამუკა ჯოჯუა (პირველი მაისის საჯარო სკოლა); გოგა პერტახია (საჯიჯაოს საჯარო სკოლა).

36 კგ. წონით კატეგორიაში

ნიკა ყორშია (ხობის №2 საჯარო სკოლა); გიორგი სოსელია (საგვიჩიოს საჯარო სკოლა); ნიკა ბოლქვაძე (შავღელეს საჯარო სკოლა).

40 კგ. წონით კატეგორიაში

შოთა იოსავა (შუა ხორგის საჯარო სკოლა); დიმიტრი ხანთაძე (ახალი სოფლის საჯარო სკოლა); ხვთისო მჭედლიძე (ახალი სოფლის საჯარო სკოლა).

46 კგ წონით კატეგორიაში

ჯონი ხეცურიანი (საჯიჯაოს საჯარო სკოლა); დავით საჯაია (ქვემო ქვალონის საჯარო სკოლა); სპარტაკ ხანთაძე (ახალი სოფლის საჯარო სკოლა).

52 კგ. წონით კატეგორიაში

ვარლამ კვარაცხელია (შუა ხორგის საჯარო სკოლა); გუგუ ხუნჯუა (საგვიჩიოს საჯარო სკოლა); ბექა ქაჯაია (საჯიჯაოს საჯარო სკოლა).

59 კგ. წონით კატეგორიაში

ბაკურ შენგელია–(ხობის №1 საჯარო სკოლა); ანზორ მიქავა–(საჯიჯაოს საჯარო სკოლა); რომან ლაბარტყავა–(გურიფულის საჯარო სკოლა).

+59 კგ. წონით კატეგორიაში

იპოლიტე ქანთარია (ხობის №2 საჯარო სკოლა); გიორგი კვაშილავა (ხობის №1 საჯარო სკოლა); ბაჩანა ლომაია (საგვიჩიოს საჯარო სკოლა).

ყველა წონით კატეგორიაში გამარჯვებულები პრიზებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ, ხოლო პრიზიორები სიგელებით, ტურნირის საუკეთესო მოჭიდავის პრიზი, რომელიც ევროპისა და მსოფლიოს ვიცე ჩემპიონმა ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიის მფლობელმა, ხობის საჭიდაო სკოლის აღზრდილმა მანუჩარ ცხადაიამ დააწესა, გამარჯვებულ ლუკა გულუას თავად გადასცა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის სათაყვანებელი სპორტსმენი სპეციალურად ამ ღონისძიებაზე დასასწრებად თბილისიდან ჩამოვიდა.

დაჯილდოების ცერემონიალს მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი გოგა ღურწკაია, გამგებლის მოადგილე რევაზ წულაია, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი ქალბატონი ჯულიეტა ქვარაია, სპორტსმენი მანუჩარ ცხადაია და ბატონი რომანის ქალიშვილი ლიკა გულიაშვილი ესწრებოდნენ. ჩემპიონატში მონაწილეებს, ორგანიზატორებსა და გულშემატკივრებს სიტყვით მიმართა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგა ღურწკაიამ, რომელმაც თითოეულ მონაწილეს და დამსწრე საზოგადოებას წარმატებები უსურვა.

დაჯილდოების დასრულების შემდეგ მონაწილეებმა, ორგანიზატორებმა, მეგობრებმა და გულშემატკივრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ბატონ რომან გულიაშვილის ხსოვნას და ყვავილებით შეამკეს მისი საფლავი.

ლევან ლემონჯავა.

სამადლობელი

„მასწავლებელი შუქია სულისა, მასწავლებლობა კი მადლი“.

ხობის №2 საჯარო სკოლა საუკეთესო ტრადიციების მქონე სკოლაა. სკოლა, რომელიც მუდამ ეროვნულ ტრადიციებზე დგას, ცდილობს აითვისოს სიახლეები, დანერგოს ახალი ტექნოლოგიები, რაც მთავარია, ყავს მაღალკვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც მუდამ კეთილ საქმეს აკეთებენ, იღწვიან, რომ მათმა ნამოღვაწარებმა ერს სარგებელი მოუტანოს. სწორედ, რომ ესაა მათი ცხოვრების არსი.

სწორედ ზემოთქმულის დადასტურებაა აჩიკო გოგოხიას დაწყებითი კლასის მასწავლებელი ქალბატონი ნონა მიქაუტაძე, რომელიც ზნეობის, ადამიანობის მაგალითია. ის მეცნიერული ცოდნის ღრმად დაუფლების გაკვეთილებს ატარებს ცოდნის დიდ ტაძარში. ყველა ამ ღირსებათან ერთად დინჯი, აუჩქარებელი, თბილი, მიუკერძოებელი და მოსიყვარულეა. ის უდაოდ ქართველობის მაგალითია...

მე საქართველოში არ ვიმყოფები, მაგრამ თავს დაცულად ვგრძნობ, რადგან ვიცი, ჩემს შვილს მოძღვრავს შესანიშნავი პედაგოგი, რომელიც 4 წელია დედის მაგივრობას უწევს. ყველა აღსაზრდელს ღიმილიანი სახით ხვდება და გულში იხუტებს, დედობრივი მზრუნველობით ანებივრებს...

ქალბატონო ნონა, ძნელია საგაზეთო წერილში, თქვენს ყველა ღირსებაზე ვისაუბრო და ყველა სურვილი გამოვთქვა, მაგრამ მინდა ქედი მოვიხარო თქვენს წინაშე, გისურვებთ თქვენს საქმიანობაში გამარჯვებას, დიდი ხნის სიცოცხლეს, თაობათა სიყვარულის გაღრმავებას!..

პატივისცემით მშობელი ლორიტა ალექსანდრია.

ინტერნეტიდან

ზოდიაქოს ნიშნები და მცენარეები

ბევრ ადამიანს უყვარს მცენარეების მოვლა. მათთვის ამ საქმიანობას დიდი ესტეთიური სიამოვნება მოაქვს. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე მცენარესთან ახლოს ერთი ადამიანი მშვენივრად გრძნობს თავს, მეორე კი დისკომფორტს განიცდის. ან კიდევ, მცენარეები ერთი ადამიანის მოვლის შედეგად, კარგად ხარობენ, მეორესთან კი, რაც არ უნდა კარგად მოუაროს, ჭკნებიან და ხმებიან... ბიოენერგოთერაპევტები გვარწმუნებენ, რომ მცენარეებს შორის, ისევე როგორც ადამიანთა შორის, გვხვდებიან ენერგეტიკული დონორები და ვამპირები: პირველნი გვაძლევენ ენერგიას, მეორენი - გვართმევენ. უმჯობესია „მწვანე მეგობრები“ ავირჩიოთ ზოდიაქოს ნიშნების მიხედვით.

ვერძისთვის მისაღებია ტიტები, აზალიები, ბეგონიები, ბროწეული.

კუროსთვის ყველაზე საუკეთესოა გაზარდოს ირისი, ჰორტენზიები, იები, ბეგონიები.

ტყუპებისათვის - გერანი, ასპარაგუსი, პალმა, პიონი.

კირჩხიბისათვის - ვარდები, ალოე, კაქტუსები.

ლომისათვის - მიხაკები, ბეგონიები, ამარანდა, კალები, გარდინიები, მიმოზები, ჩინური ვარდი.

ქალწულისათვის რეკომენდებულია ქრიზანტემები, გლადიოლუსები, დრაცენა.

სასწორისათვის - გეორგინები, აზალიები, ქოთნის წიწაკები, ქრიზანტემები, დიდფოთლიანი ჰორტენზიები, ლილიები.

მორიელებს ურჩევენ გაზარდონ გერბერები, აფრიკული იები, დრაცენა, ოლეანდრი, ალოე.

მშვილდოსანისათვის - ანემონები, აზალიები, ფიკუსები, ლიმონი.

თხის რქას - ქრიზანტემები, დრაცენა, ფიკუსი, დაფნა, სურო, ჭორიკანა და სხვა ხვიარა მცენარეები.

მერწყულისათვის - ნარცისები, დრაცენა, ოთახის ბზა.

თევზებისათვის - ფრეზიები, ფიკუსები, ორქიდეები.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია: თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა.

თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.

რედაქტორი–მანანა შულაია.

ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია.

რეკლამისა და მარკეტინგის მენეჯერი–ლაშა ცატავა.

კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“

მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 8 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.